ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 15 სექტემბერი, 2017 №219 (7454) ფასი: 50 თეთრი

პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ შეიძლება გამოძიება დაიწყოს

გვ.7

15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

ბუკნაჭო და ფისუნია

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

„ქართული მარში სასიკვდილო შიმშილობას იწყებს“



გვ.3

„ხელისუფლება სოროსის წიწილებით გაივსო“

ლადო სადღობელაშვილი: „ეს სისტემა უნდა დაინგრეს!“

გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ერთ ჯგუფს პროპორციულ სისტემაზე გადასვლის მცდელობა ჰქონდა“

„ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიზაცია დააჩქაროს, მაგრამ ჯერ ფერხდება“

მიხეილ სააკაშვილი: „კიევში 19 სექტემბერს ჩავალ“

გვ.2

გვ.4

ზოთა მალაშხია: „ეს ხელისუფლება ნაღმზე ზის“

ნიკა რურუა: „კონსტიტუციის შეჯერებულ ვერსიას სამსჯავროზე გამოვიტანთ“

გვ.3

გვ.4

პატრიარქი: „ცოდნის მიღება არ არის საკმარისი. ურწმუნო ადამიანის გონებაში ცოდნას უარყოფითი შედეგები მოაქვს“

წულუკიანი: „კონსტიტუციის არსებული პროექტი დაბალანსებულია“

გვ.3

მოაგვარებენ თუ არა მერობის კანდიდატები ე.წ. ხრუშჩოვკების პრობლემას?

გვ.6

პოროშენკო თავისი ბრიყვული მოქმედებით სააკაშვილს რეიტინგს ხელოვნურად უზრდის

გვ.4

ISSN 1987-9385

გვ.6

მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ პირველ მგზავრებს, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში მიიღებს

თორნიკე შარაშენიძე: „ოცნების“ ერთ ჯგუფს პროპორციულ სისტემაზე გადასვლის მცდელობა ჰქონდა“

„ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიზაცია დააჩქაროს, მაგრამ ჯერ ფერხდება“

ნათია ხურცილავა

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი, ჯიპას პროფესორი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.

– ბატონო თორნიკე, პრემიერმა განაცხადა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა რეფორმების გასატარებლად სჭირდებათ. ეთანხმებით ამ რიტორიკას?

– ერთი მხრივ, რეალობაა, რომ ხელისუფლებას საპარლამენტო უმრავლესობა რეფორმების გასატარებლად სჭირდება. კარგია, რომ გყავს უმრავლესობა და აკეთებ იმას, რაც გინდა, მაგრამ, მეორე მხრივ, სააკაშვილის მაგალითზე ვნახეთ, რომ „რაც გინდა აკეთო“, საბოლოო ჯამში, შეიძლება ცუდად დამთავრდეს. აბსოლუტური ძალაუფლება როდესაც გაქვს და ხელისუფლების ყველა შტოს აკონტროლებ – სასამართლოს, პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, ეს ცუდად მთავრდება, კონტროლს კარგავ. ამიტომ არის საჭირო, ვიღაც გაბალანსებდეს. შეიძლება მართლაც კარგი განზრახვები გქონდეს, ფანტასტიკური რეფორმები დასახო, მაგრამ უკონტროლო ძალაუფლებამ შეიძლება ჭკუიდან გადაგიყვანოს. სამწუხაროდ, ამის მაგალითი ვნახეთ. ეს არის საფრთხე, რომელსაც ჯერჯერობით ხელისუფლება ვერ ითვალისწინებს.

რეალურად იმავე მოდელის მოწმენი ვართ, მართალია, უფრო რბილი, მაგრამ მოდელი ჰგავს. ცხადია, ისეთ გადაცდომებს არ აქვს ადგილი, მაგრამ ვხედავთ, ხელისუფლების ყველა შტოზე კონტროლია.

– მმართველობის სტილს გულისხმობთ?

– არა, მოდელს. სტილი სწორედ რომ განსხვავებულია. სტილის განსხვავებულობის გამოა, რომ მოსახლეობაში ჯერ პროტესტი არ გროვდება. სასამართლო, პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთი ჯგუფის მიერ კონტროლდება.

– საერთაშორისო საზოგადოების აზრი რამდენად აშფოთებს ხელისუფლებას? ფიქრობთ, ვენეციის კომისიის დასკვნა არ აღელვებს ხელისუფლებას?

– წინა ხელისუფლებაზე მცდარი წარმოდგენა იყო შექმნილი, რომ სააკაშვილი ვაშინგტონის მონა იყო. თითქოს, რასაც ამერიკელები ეტყოდნენ, ყველაფერს ასრულებდა. ასე ნამდვილად არ იყო. წინა ხელისუფლებაც იყო დამოუკიდებელი და ეს ხელისუფლებაც არის დამოუკიდებელი იმ კუთხით, თუ სასწორზე დგას მათი პოლიტიკური ინტერესები, მაშინ რაღაც-რაღაცებს შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ. თუმცა, მაინც ცდილობენ, ისეთი გარემო შექმნან, რომ დაჯერონ ყველა, ოპოზიციასთან მუშაობენ, კონსტრუქციულები არიან და ვენეციის კომისიის შენიშვნებს ითვალისწინებენ, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მივა, მოქმედებენ ისე, როგორც ადრე იყო.

– თუმცა, ეს ხომ ზიანს მოუტანს ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე?

– რა თქმა უნდა, დემოკრატიზაციის პროცესი შეფერხდება. ამ ჯგუფს აქვს მცდელობა, რომ დემოკრატიზაციის პროცესი დააჩქაროს, მაგრამ ჯერ ფერხდება. ბუნებრივია, ყველას უნდოდა, რომ პროპორციული არჩევნები 2020 წელს ყოფილიყო და არა 2024 წელს. აშკარაა, რომ „ქართული ოცნების“ ერთ ჯგუფს მცდელობა ჰქონდა, 2020 წელსვე ჩატარებულიყო პროპორციული წესით არჩევნები, მაგრამ შიგნით მოხდა მაჟორიტარების მხრიდან აჯანყება.



– რეალურად ვერტიკალიდან არ მოდიოდა?

– არ არის გამორიცხული, რომ, საბოლოო ჯამში, დაარწმუნეს ის, ვინც ვერტიკალში ზის, მაჟორიტარებმა.

რა მოცემულობაა დღეს – არჩევნებს ალბათ სამართლიანად ჩაატარებენ და გაყალბების გარეშეც მოიგებენ. რადგან ოპოზიცია იმდენად დასუსტებულია, იმდენად დაქსაქსულია, რომ არა მგონია, არჩევნების გაყალბება სჭირდებოდეს ხელისუფლებას, ამ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში.

რამ შეიძლება შეცვალოს სურათი რადიკალურად?! ეს შესაძლებელია ერთადერთ შემთხვევაში: თუ სააკაშვილი ამოატრიალებს უკრაინას და ხელში ჩაიგდებს, მაგრამ თეორიულად ეს შესაძლებელია დღეს, მაგრამ ხვალ შეიძლება გვიან იყოს. თუ ეს მოხდა, მაშინ ნაციონალური მოძრაობა გაძლიერდება მორალურად და სხვანაირადაც. დარწმუნებული ვარ, ბევრი, ვინც გამოიქცა ნაცმოძრაობიდან, უკან გაიქცევა.

– ვის გულისხმობთ?

– ძირითადად მათ, ვინც ახლა „ოცნებაშია“. ეს სცენარი არის ერთადერთი, რამაც შეიძლება პოლიტიკური განლაგება შეცვალოს, დანარჩენი ვერ წარმომიდგენია, რამ შეიძლება შეცვალოს ეს განლაგება.

– სააკაშვილი პოლიტიკურ განახლებას შეძლებს?

– სააკაშვილმა გაიღვიძა, მაგრამ რა მოჰყვება ამ გაღვიძებას, ეს სხვა საკითხია. შეძლებს რამეს? ვერ გეტყვით. სააკაშვილს დღეს უკრაინაში მხოლოდ ერთი ოლიგარქის, კოლომოისკის მხარდაჭერა შეიძლება ჰქონდეს. სხვისი მხარდაჭერა არ აქვს. რამდენად არის ერთი ოლიგარქის მხარდაჭერა საკმარისი უკრაინაში, საკითხავია. ამ მონაცემებით, რომელიც ჩანს უკრაინაში, ძალიან გაუჭირდება სააკაშვილს ახალი „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა. მართალია, უკრაინის სახელმწიფო სუსტია, ისევე, როგორც საქართველოს სახელმწიფო იყო 2003 წელს სუსტი, ამიტომაც იყო, რომ საზღვარი გადალახა და შევიდა, მაგრამ უკრაინა არ არის საქართველო, გაცილებით რთული კონსტრუქციაა იქ რამდენიმე ოლიგარქი თამაშობს და მათი დამარცხება, არა მგონია, მარტივი იყოს. ჩვენთან იყო ერთი შევარდნაძე და ის დაამარცხა, თანაც დასუსტებული. თუმცა ჯერ მისი პოლიტიკური ჩამოწერა ნაადრევია. მას ნამდვილად აქვს სწორი პოლიტიკური ინსტინქტები, რომლებიც მაშინ იღვიძებს, როდესაც უჭირს. როდესაც მიძინებულია და კარგად არის, მაშინ კარგად გვახსოვს, რა სისულელეებს ჩადიოდა. როდესაც ნაცმოძრაობამ აბსოლუტური ძალაუფლება მოიპოვა, მერე დაიწყო კატასტროფული შეცდომების დაშვება.

სააკაშვილი მაინც არის გარდამავალი დემოკრატიის პოლიტიკოსი, კარგად გრძნობს იმ სახელმწიფოში თავს, სადაც არის ქაოსი, მაგალითად, უკრაინაში, რადგან რეფორმატორია, მაგრამ ქვეყანა რაღაც დონეს მიაღწევს თუ არა, მერე უჭირს. ეს გამოაჩინა მისმა მოღვაწეობამ.

– გადმოსცემენ?

– არა მგონია. სააკაშვილი ამ მთავრობას არაფერში სჭირდება და სწორსაც შვრება. სააკაშვილის ექსტრადირება პოროშენკოსაც შეუქმნის დასავლეთთან პრობლემებს.

– რომ შემოვიდეს, როგორც უკრაინის საზღვარზე?

– ვერ შემოვა, რადგან ჩვენთან სისტემა მუშაობს, იქ კი – არა.

მიხეილ სააკაშვილი: „კიევში 19 სექტემბერს ჩავალ“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს მესამე პრეზიდენტი უკრაინაში ისევ მთავარი თემაა. ოფიციალურმა კიევმა ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ისინი მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებას არ აპირებენ. ახლა უკრაინელებს იმის გაგება აინტერესებთ, როდის ჩავა ჩვენებური კიევში.

ოპერაცია კიევი, სავარაუდოდ, იმ კვირაში განხორციელდება. სააკაშვილმა დედაქალაქში ჩასვლის თარიღი დაასახელა. ის კიევის დალაშქვრას 19 სექტემბერს აპირებს.

კიევში ჩასვლამდე უკრაინის რეგიონებში გაივლის და აქციებს გამართავს. პირველი ასეთი აქცია მან ქალაქ ჩერნოვციში ჩაატარა, სადაც ის ლვოვიდან ჩავიდა. ჩვენებური ჩერნოვცელებს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე შეხვდა.

სააკაშვილს ძალიან უყვარდა სიმბოლოები და თარიღების საგანგებოდ შერჩევა. ეს თვისება მას, ეტყობა, ისევ შემორჩა და კიევში დასაბრუნებლად საგანგებოდ შეარჩია 19 სექტემბერი.

ჩვენებურის განმარტებით, 19 სექტემბერი კიევის მფარველი, წმინდა მიხაილის ხსენების დღეა, ჩერნოცელებს კი პირობა მისცა, თქვენი უფლებებისთვისაც ვიბრძოლებო.

– უკრაინაში მხოლოდ მოქალაქეობისთვის არ ჩამოვსულვარ, დავბრუნდი, რომ თქვენთან ერთად გადავწყვიტო, როგორ გამოვიდეთ ამ პოლიტიკური კრიზისიდან, რომელიც ქვეყანაში მძვინვარებს.

ახლა ყველა პარტია გთავაზობთ მათ ირგვლივ გაერთიანებას. ეს იგივეა, რაც იდგე ბაქანზე, შენ წინაშე იყოს 5 მატარებელი და ყველა ცალ-ცალკე გიხმობდეს. მე გთავაზობთ ხალხის გარშემო გაერთიანებას, საერთო მიზნებისთვის გაერთიანებას. მე არ მაქვს პასპორტი, ის მომპარეს, მომპარეს მოქალაქეობასთან ერთად, მაგრამ მე ვივლი პასპორტის გარეშე, – აღნიშნა პირველ აქციაზე სააკაშვილმა.

ის უკრაინის ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტების დევნაში ადანაშაულებს.

– ჩვენ ერთად უნდა მივუჩინოთ ხელისუფლებას თავისი ადგილი, ხელისუფლებას, რომელსაც ჰგონია, რომ ვინც მისთვის არასასურველი იყო, ყველა თავიდან მოიშორა, ქვეყნიდან გააძევა ან თუნდაც მოკლა, ჩვენ მათ ადგილი უნდა მივუჩინოთ, – განაცხადა ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა.

ის, ეტყობა, კიევში დიდი ამბების დატრიალებას აპირებს და იქ ხალხს მთელი უკრაინიდან ეპატიჟება.

– 19 სექტემბერს არის კიევის მფარველის, მიხაილის ხსენების დღე. სწორედ ამ დღეს ჩავალთ ჩვენ კიევში, ამიტომ ჩავალთ ერთად, – აღნიშნა სააკაშვილმა.

კიევში წასვლამდე მან უკრაინის პრეზიდენტს ახალ-ახალი ბრალდებები წაუყენა. ის პეტრო პოროშენკოს თვალთვალშიც ადანაშაულებს.

სააკაშვილი აცხადებს, რომ მცველმა არ შეუშვა სასტუმროში მის ნომერში ჩემოდნიანი უცნობი პირები. შემდგომ მათ სააკაშვილის ნომრის ერთი სართულით ქვემოთ მდებარე ოთახში გადაინაცვლეს.

როგორც ჩვენებურმა თქვა, მისი ხალხი აედევნა ჩემოდნიან პირებს და შევიდა იმ ოთახში, სადაც უცნობები იმყოფებოდნენ, სადაც აღმოაჩინეს სათვალთვალო და მოსასმენი აპარატურა.

მისი ვარაუდით, უცნობი პირები უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. მან თვალთვალში უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო დაადანაშაულა.

– იმ დროს, როდესაც მტერმა აღმოსავლეთი საზღვარი გაარღვია, იმ დროს, როდესაც უკრაინაში ჯაშუშები დარბიან, მაშინ, როცა მედვედჩუკი პოროშენკოს მთავარი ბიზნესპარტნიორი გახდა და ყოველდღიურად უკრაინელ მძღოლებსა და ავტოგაზზე ფულს აკეთებს, მაშინ, როცა მათ ყველაფერი თავზე ენგრევათ, ის დაკავებულია ჩემი პირადი ცხოვრების ჩაწერით სასტუმროს ნომრებში.

პეტრო ალექსეევის ძევ! უქმეებზე სხვა საქმე არ გაქვთ? გინდათ, ნახოთ, სააკაშვილი ტუალეტში როგორ დადის? თქვენი ცხოვრება არ გყოფნით? გინდათ, დაკავდეთ ჩემი პირადი ცხოვრებით? სექსუალური ისტორიებით? ნანახი მყავს ასეთი ადამიანები. პუტინი აკეთებდა ამას. გვყავდა ჩვენ ასლან აბაშიძე საქართველოში, ისიც ამას აკეთებდა. არ გრცხვენიათ?! – მიმართა სააკაშვილმა ალექსეევიჩს.

მან პოროშენკოს რჩევაც მისცა, მიაჩნია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ხალხს უნდა დაელაპარაკოს.

უკრაინაში სააკაშვილის ერთი მომხრე უკვე დააკავეს. რამდენიმე მათგანი დაკითხვაზე დაიბარეს.

დასაკითხი ხალხის სიაში უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძეც მოხვდა.

მას უკრაინის საზღვრის დაცვისა და პროკურატურის თანამშრომლები საზღვრის ჯგუფურად გადაკვეთის ორგანიზებას ედავებიან. საყვარელიძე დაკითხვაზე 18 სექტემბერს, 10 საათზეა დაბარებული.

საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 3 მუხლითაა აღძრული: საზღვრის უკანონო გადაკვეთა, ჯგუფური არეულობის მოწყობა და სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ამასთან დაკავშირებით დავით საყვარელიძემ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

– ამ ადამიანებს რაღაც სისულელეებს აბრალებენ. გასაგებია, რომ არანაირი იურიდიული ლოგიკა არ არსებობს. ვერ გვიხსნიან, რომელი საზღვარი გადავკვეთეთ, უკრაინის თუ კოლუმბიის. ვიცი, რომ ამ ყველაფერს გვაჩვენებენ, ბატონო გენერალურო პროკურორო, როგორ ექცევით უკრაინელ პატრიოტებს, რომლებმაც, სხვათა შორის, ციხიდან გამოგიყვანეს, გაგხადეს გენერალური პროკურორი და პოლიტიკოსად გაქციეს. თუ ასეა, სხვა ფორმატში ვიბრძოლოთ და ვიდავოთ. გამოწვევა მიღებულია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული მარში სასიკვდილო შიმშილობას იწყებს“

„ხელისუფლება სოროსის წიწილებით გაივსო“

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „ეს სისტემა უნდა დაინგრეს!“

რატომ მიუცვივდნენ კახა კალაძეს, ვინ მართავს რეალურად „ქართულ ოცნებას“, რატომ არ აინტერესებთ არჩევნები, რა შემთხვევაში მოითხოვენ მთავრობის გადადგომას? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ქართული მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორი **ლადო სადღობელაშვილი** ესაუბრება.

– ლადო, რამდენიმე დღის წინ ქართულმა მარშმა მორიგი აქცია გამართა. კალაძის საარჩევნო შტაბთან მოხდა თქვენი დაკავება. ნაციონალების ოფისებთან გამართულ აქციაზეც თქვენ გიჭერდნენ და რა ხდება, აქციის სხვა მონაწილეების დაკავებას კანონი კრძალავს?

– მე ალბათ იმიტომ მიჭერენ, რომ დაბალი ღობე ვარ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისევე, როგორც ადრე, ახლაც იმიტომ დამაკავეს, რომ ძალიან აქტიური ვიყავი, რაც ჩემს დაპატიმრებას არ ამართლებს. აშკარაა, რომ ჩემი აქტიურობა შსს-ს წარმომადგენლებს არ მოეწონათ.

სიმართლე თუ გინდათ, მეგონა, რომ უფრო ადრე დამაკავებდნენ. ბოლო პერიოდში ხშირად მირეკავდნენ და მემუქრებოდნენ.

– ეს მუქარები როდის დაიწყო?

– მუქარა ყოველთვის იყო, მაგრამ, რაც ქართული მარში ამოიქოქა, მუქარებმაც იმატა. ჩვენი ერთ-ერთი თანამებრძოლი გიორგი ონიანი დღეს ციხეში ზის. მარშის სხვა წევრებსაც ემუქრებიან. მარშის რამდენიმე წევრის ბინაში შეცვივდნენ და იქ ჩხრეკა ჩაატარეს.

ამჯერად ჩემი დაკავება პირდაპირ კახა კალაძეს უკავშირდება. ჩვენ მასთან სალაპარაკოდ მივედით, იქ კი პოლიცია დაგვახვედრეს.

– მასთან საუბარი თუ გინდოდათ, რაღა მარშით მიუცვივდით, ისე ვერ მიხვედით შეხვედრაზე?

– მიწის საკითხი მხოლოდ მე არ მაწუხებს, თორემ მარტო წავიდოდი. ჩემთან ერთად იყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ასევე აინტერესებთ, რას ფიქრობს კალაძე მიწის გაყიდვაზე.

მერე მიხვდნენ, რომ ცუდად გამოუვიდათ და კალაძის შტაბის უფროსმა არჩილ თალაკვაძემ რაღაცები მობოდა, თქვა, ამომრჩეველთან შეხვედრა გვქონდა, თორემ გამოვიდოდით, რა პრობლემაა. სოროსის წიწილებისგან ასეთი მტკნარი ტყუილების ლაპარაკს უკვე მიჩვეულები ვართ. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ბატონი თალაკვაძე წარსულში ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან“.

რამდენიმე წლის წინ ნაციონალებს მთელი ერი, როგორც კეთროვნებს, ისე უყურებდა. ახლა ასეთივე იარლიყი აქვს არტყმული „ქართული ოცნების“ „ვერხუშკას“. გიორგი კვირიკაშვილის გარდა, წარსულში ყველანი სოროსის ფონდთან თანამშრომლობდნენ.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სოროსის წიწილებს ერთგვარი დიქტატი აქვთ დამყარებული. სხვაგან სიტუაცია შეიცვალა, საქართველოში იგივე ვითარებაა. სოროსის იდეოლოგიაში ეროვნული საკითხების დაცვა არ ჯდება. ეს ბატონი ყოველგვარ ეროვნულს ებრძვის. ყოველგვარ ეროვნულს ებრძვის კახა კალაძეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი შტაბის უფროსი თალაკვაძე არ იქნებოდა.

მართალია, იმ დღეს დამიჭირეს, მაგრამ ამით ჩვენი ბრძოლა არ გაჩერებულა. პირიქით, ახლა ვიწყებთ ნამდვილ ბრძოლას და ყველას ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ბრძოლა.

– ნამდვილ ბრძოლაში რას გულისხმობთ?

– უახლოეს მომავალში სახელმწიფო კანცელარიის წინ დავიწყებთ მასობრივ სასიკვდილო შიმშილობას.

– სასიკვდილო შიმშილობა რას ნიშნავს? ყურს ძალიან ცუდად ხვდება ეს სიტყვა.

– მინდა, სწორად იქნეს აღქმული ეს ტერმინი. სასიკვდილო შიმშილობა ნიშნავს თავგანწირულ შიმშილობას.

– ნებისმიერი შიმშილობა თავგანწირვა არ არის?

– ყველა არა. შიმშილობას დავიწყებთ და ფეხს არ მოვიცვლით იქიდან. ჩანაცვლებით შიმშილობაზე კატეგორიულ უარს ვამბობთ.

– ჩანაცვლებითი შიმშილობა რას ნიშნავს?

– ამ მეთოდს პატრიოტთა ალიანსის წევრები მიმართავდნენ, ერთმანეთს ანაცვლებდნენ. ჩვენს შემთხვევაში სხვანაირად იქნება. კაცი რომ დაჯდება საშიმშილოდ, სანამ არ გაიტანენ იქიდან, ფეხს არ მოიცვლის.

ამ შიმშილობას ვიწყებთ იმიტომ, რომ სისტემის დანგრევა გვინდა. ის სისტემა უნდა დაინგრეს, რომელიც აგერ უკვე 25 წელია, გამეფებულია საქართველოში.

– შიმშილობით ეს სისტემა როგორ უნდა დაანგრიოთ? თბილისში არაერთი შიმშილობის აქცია უშედეგოდ დასრულებულა.

– საქართველოში აღარ ახსოვთ, რას ნიშნავს ნამდვილი შიმშილობის აქცია. ასეთი აქციები მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას დროს იმართებოდა. მაშინ მინიმუმ 500 კაცი ჯდებოდა საშიმშილოდ. ამ აქციას უამრავი ადამიანი უერთდებოდა. აი, ასეთი საყოველთაო შიმშილობის აქცია ელოდება ხელისუფლებას.

ხელისუფლებას ამ აქციის შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ხალხის მხარეს დადგება.

– ხალხის მხარეს დადგომაში რას გულისხმობთ?

– ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

– თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება რატომ უნდა ჩაითვალოს ხალხის მხარეს დადგომად?

– ჩვენ ვახმოვანებთ იმას, რასაც ხალხი ითხოვს. ხალხი ითხოვს, რომ მიგრაციის კანონი გამკაცრდეს. ჩვენ ვაპროტესტებთ ქართული მიწის გაყიდვას. ჩვენი მოთხოვნები ეროვნულია.

დარწმუნებული ვარ, ჩვენ გვერდით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები დადგებიან. შიმშილობას მანამდე არ შევწყვეტთ, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება.

თვითმმართველობის არჩევნები, მერობის გაუგებარი კანდიდატები თავიანთი საარჩევნო კამპანიებით ჩვენთვის მეორეხარისხოვანია.

– არჩევნები ჩვენთვის მეორეხარისხოვანია, ამბობთ და შიმშილობის აქციას რატომღაც არჩევნების წინ იწყებთ.

– შეიძლება, ვიღაცამ ასეთი დასკვნაც გამოიტანოს. არადა, ჩვენ ბრძოლა ჯერ კიდევ გასულ წელს დავიწყეთ, კონსტიტუციაში ჩანაწერი გავაკეთებინეთ, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობა უნდა იყოს.

ჩვენი ბრძოლის გააქტიურება არჩევნებს არ უკავშირდება. ბრძოლა გავააქტიურეთ იმ საკონსტიტუციო ცვლილებების გამო, რომლებიც ხელისუფლებამ მოამზადა. მაისში ფილარმონიაში კონსტიტუციის განხილვაზე მაგარი ამბები მოვაწყვეთ და ჩვენი გუნდიც იქ შეიკრა.

ჩვენთვის მთავარია ეროვნული საკითხები. საკრებულოები და მერიები რომ გვაინტერესებდეს, პარტიასაც შევქმნიდით.

– პარტიის შექმნა ასეთი იოლია?

– პარტიის დარეგისტრირება კაპიკებთან არის დაკავშირებული. იმხელა 10.000-იანი მარში მოვაწყვეთ და პარტიას ვეღარ დავარეგისტრირებდით? ეს არ იქნებოდა პრობლემა.

– ამდენი ფული გაქვთ?

– ფული არა გვაქვს, მაგრამ პარტიის დასარეგისტრირებლად საკმარის თანხას რამენაირად შევაგროვებდით. არჩევნებზეც არ გამოვიდოდით ცუდად. პატრიოტთა ალიანსსა და დემოკრატიულ მოძრაობაზე მეტ ხმას მივიღებდით, მაგრამ ეს არ გვაინტერესებს.

– დაახლოებით ერთი თვის წინ თქვით, რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც მოითხოვდით. ეს მოთხოვნა ისევ ძალაშია?

– იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მოთხოვნაზე მყისიერი რეაქცია არ იქნება, ამ მოთხოვნასაც დავაყენებთ. მინდა, ჩვენი მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც სწორად იქნეს აღქმული. ჩვენ პერსონალურად არც პრემიერს ვებრძვით და არც რომელიმე მინისტრს. ჩვენ ამ სისტემის დანგრევა გვინდა. ამ სისტემას შევარდნაძის დროს ჩაეყარა საფუძველი და დღემდე ყვავის.

– თქვენი აქცია, სავარაუდოდ, როდის დაიწყება?

– თარიღთან დაკავშირებით საბოლოო პასუხს მომავალ კვირაში გეტყვით.

– თქვენი აქცია ემთხვევა პატრიოტთა ალიანსის აქციას და ეს ხალხს ხომ არ დააბნევს?

– არა მგონია. მათ აქცია 17 სექტემბერს დააანონსეს და რამდენიმე კონკრეტული მოთხოვნა აქვთ, თან ისინი პარლამენტთან იქნებიან, ჩვენ – კანცელარიასთან.

– ეს 2 შენობა ერთმანეთთან ახლოს არის და თქვენი გაერთიანება ხომ არ მოხდება?

– გამორიცხულია. ქართული მარში არავისთან გაერთიანდება. ჩვენი მიზანი სისტემის დანგრევაა. ამდენის მოთმენა აღარ შეიძლება – ხელისუფლება სოროსის წიწილებით გაივსო.

ნიკა რურუა: „კონსტიტუციის შეჯერებულ ვერსიას სამსჯავროზე გამოვიტანთ“

– კონსტიტუციის შეჯერებულ ვერსიას გამოვიტანთ სამსჯავროზე და წარვუდგენთ საზოგადოებასა და მმართველ პარტიას. ყველა არსებით საკითხზე შევთანხმდით და მაქსიმალურად ხელშეუხებელი დავტოვეთ „ოცნებისეული“ ვარიანტი იმისთვის, რომ კონსტიტუციაზე შეიქმნას კონსენსუსი.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნიკა რურუამ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პრეზიდენტის წარმომადგენლებსა და ოპოზიციას შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ნიკა რურუას განცხადებით, მაქსიმალური მცდელობა იყო, რომ ცვლილებების „ქართული ოცნების“ შემოთავაზებულ ვერსიასთან მიახლოებული ვარიანტი ყოფილიყო მიღებული.

– კონსტიტუცია არის ქვეყნის უმაღლესი კანონი და ყველას, ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ვალდებულება ეკისრება გააკეთოს ყველაფერი, რომ ქვეყანას ერთპარტიული კონსტიტუცია არ ჰქონდეს. ახლა მხოლოდ ერთი პარტია ცდილობს მოახვიოს ხალხს თავისი ვერსია და ამის წინააღმდეგია მთელი ოპოზიცია. დღეს მაქსიმალურად შევეცადეთ მივახლოებოდით მათ მიერ შემოთავაზებულ ვერსიას და არსებითი საკითხები რაც მთელი ოპოზიციისთვის არის გადამწყვეტი, დაგვემატებინა ამ ვერსიისთვის. შეჯერებულ ვერსიას გამოვიტანთ სამსჯავროზე, წარვუდგენთ საზოგადოებასა და მმართველ პარტიას, ვინც ცდილობს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას, – განაცხადა ნიკა რურუამ.

წულუკიანი: „კონსტიტუციის არსებული პროექტი დაბალანსებულია“

– ხელისუფლების უზურპაციის ნებისმიერი შესაძლებლობა ახალი პროექტით შეუძლებელია, – ასე აფასებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მმართველი გუნდის მიერ კონსტიტუციის ახალ პროექტს. უმრავლესობა მთავარი კანონის ახალი პროექტის მესამე მოსმენით დამტკიცებას საშემოდგომო სესიაზე, რამდენიმე დღეში გეგმავს.

– კონსტიტუციის პროექტი, რომელიც არის წარმოდგენილი და მისი მიღება უნდა დასრულდეს, არის მაქსიმალურად დაბალანსებული. ის აძლევს საქართველოს იმ საპარლამენტო მოდელს, რომლის შემოღებაც 2010 წელს ვენეციის კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად არ იქნა შესაძლებელი, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ყაზახეთმა რუსეთის, ჩინეთისა და უზბეკეთის ტერიტორიები მიიერთა

ყაზახურმა სააგენტომ „ყაზზ ინფორმმა“ ქვეყნის რუკა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც ყაზახეთს მეზობელი სახელმწიფოების – რუსეთის, ჩინეთისა და უზბეკეთის მთის ტერიტორიები აქვს მიერთებული. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. რუსეთში ყაზახეთის საზღვარი ომსკისა და ორენბურგის ოლქებზე გადის, ჩინეთში – სინციან იოგუმის ავტონომიურ ოლქში, უზბეკეთში საზღვარი ტაშკენტის ოლქზე გადის, კარაკალტასტანის რესპუბლიკა კი მთლიანად ყაზახეთის შემადგენლობაშია. რუკას თან ახლდა ტექსტი, რომელიც ყაზახური ენის მოდერიზაციის პრობლემას ეხებოდა. მოგვიანებით სააგენტომ რუკა აიღო, თუმცა გვერდის გამოსახულება გუგლის ქეშმეხსიერებაში დარჩა.

მამუკა კაციტაძე: „საკონსტიტუციო ცვლილებებზე ოპოზიციამ და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ხუთპუნქტიან საკითხთა წრე ჩამოაყალიბეს“

მომავალი კვირის დასაწყისში გამოქვეყნდება დოკუმენტი, რომელიც ასახავს ოპოზიციისა და პრეზიდენტის ხედვას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება 14 სექტემბერს პრეზიდენტის მრჩევლების, ადმინისტრაციის უფროსისა და საპარლამენტო მდივნის ოპოზიციასთან შეხვედრაზე მიიღეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, შეთანხმება მიღწეულია პრინციპულ საკითხებზე.

– შეიძლება ითქვას, რომ ხუთპუნქტიანი საკითხთა წრე ჩამოყალიბდა, ეს არის: პრეზიდენტის არჩევნები, პარლამენტის არჩევნები, მთავრობის საპარლამენტო ზედამხედველობა, სასამართლოს თემა და უშიშროების საბჭო. რა თქმა უნდა, მოხლობრივად გაცილებით მეტია, მაგრამ ეს არის პრინციპული საკითხები, რაზეც შევთანხმდით.

მომავალი კვირის დასაწყისში, გამოქვეყნდება დოკუმენტი, რომელიც გადაეგზავნება, ერთი მხრივ, ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, ვენეციის კომისიას. მომავალი კვირის დასაწყისში იხილავთ საინტერესო კონსენსუსის შემცველ დოკუმენტს, სადაც ქვეყნის პირველი პირი დაფიქსირებს პოზიციას. რა თქმა უნდა, ყველას სურვილი გათვალისწინებული ვერ იქნება, მაგრამ გარკვეული პუნქტები გვერდზე გადავდეთ, რათა აბსოლუტურად კონსენსუსური დოკუმენტი მიგვეღო, – განაცხადა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა მამუკა კაციტაძემ.

თავის მხრივ, „ახალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ვაშაძის განცხადებით, მთავარია, რომ საერთო პოზიცია არის მიღწეული, შეთანხმდნენ საერთო ნუსხაზე და გამოქვეყნდება საერთო დოკუმენტი.

– ეს არის ბოლო შანსი, რომელსაც ვაძლევთ ხელისუფლებას რომ ხელი აიღოს კონსტიტუციის გაუპატიურებაზე, რასაც ახლა აკეთებენ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

შოთა მალაშხია: „ეს ხელისუფლება ნაღმზე ზის“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ აქტუალურ მოვლენებზე ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ **შოთა მალაშხიას.**

– ადრეც იყო საუბარი იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობიდან გამოყოფილ „ევროპულ საქართველოს“ ეხმარება. ბოლოდროინდელმა განცხადებებმა ამ პარტიის დაფინანსების თაობაზე საზოგადოებაში გააჩინა აზრი, რომ „ევროპულ საქართველოს“ მთავარ ოპოზიციად ამზადებენ.

– „ქართულ ოცნებას“ თავისი პრობლემები აქვს. მმართველ ძალას იმის თავი არა აქვს, რომ თავის თავსაც მიხედოს და სხვასაც. არჩევნებზე ძალით ვერავინ ვერავის გაიყვანს. არჩევანს აკეთებს ხალხი. რეალობაა ის, რომ ხალხს „ქართული ოცნება“ ყელში ამოუვიდა. ამ დღეებში ბევრი ისეთი ნაცნობი შემხვდა, რომლებიც დღემდე პოლიტიკურად ნეიტრალურნი იყვნენ. ეს ადამიანები მეუბნებიან, ეს რა საშინელება ხდება, როგორ აპირებთ მდგომარეობის გამოსწორებასო. ადამიანებს სურთ, იმ მდგომარეობას დაუბრუნდნენ, რომელიც „ოცნებამდე“ იყო. სულ უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფო ინსტიტუტები დაანგრია, სასამართლო კი გარყვნა. რაც მუშაობს, მაგალითად, საპატრულო პოლიცია, იუსტიციის სახლი, ისიც ინერციით. არაერთხელ მითქვამს, რომ ეს ხელისუფლება თავისი მავნებლური მოქმედებებით საქართველოს საერთაშორისო იმიჯს ვერ შეარყევდა. მართლაც ასე ხდება.

– აღნიშნეთ, რომ სასამართლო ამ ხელისუფლებამ გარყვნა. წინა ხელისუფლების დროს სამართლიანი სასამართლო გვქონდა?

– წინა ხელისუფლების დროს სასამართლო ასრულებდა პოლიტიკურ დაკვეთებს. დღეს სასამართლო პოლიტიკურ დაკვეთებსაც ასრულებს და ქრთამსაც იღებს. სასამართლოს ერთადერთი რამ სჭირდებოდა – პოლიტიკური დავალებებისაგან გათავისუფლება. წინა ხელისუფლებისას ეს ვერ მოესწრო. ახლა ბევრად უარესი მდგომარეობაა.

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვარაუდობთ, რომ პოლიტიკური პროცესები პარლამენტში ვერ განვითარდება და ქუჩაში გადმოინაცვლებს. ქუჩაში აქამდე ვიხილეთ ძირითადად „ქართული მარშისა“ და „თეთრი ხმაურის“ მიერ გამართული აქციები.

– მოსახლეობა ძალიან უკმაყოფილოა და ხალხის მასობრივი გამოსვლები მოსალოდნელია. უკრაინაში მსგავსი სიტუაციაა – ორი მაიდნის შემდეგ მოსახლეობის მოთხოვნები ისევ არ არის დაკმაყოფილებული – არც ეკონომიკას ეშველა და არც კორუფციას. ამიტომ არის პირობები მესამე მაიდნისათვის. არ მოგვარებულა ის, რაც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს – ტერიტორიული მთლიანობით დაწყებული, უმუშევრობითა და ფასებით დამთავრებული. საქართველოს ხელისუფლება რუსულ ტალღას მიჰყვება იმ დროს, როცა მთელი დასავლეთი რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს. ეს ხელისუფლება ბევრი მიზეზის გამო ნაღმზე ზის. გავიხსენოთ, რას აცხადებდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც 2012 წელს ოპოზიციაში იყვნენ, ახლა კი „ოცნებას“ წარმოადგენენ! ისინი ხალხს არწმუნებდნენ, რომ სააკაშვილს ბენზინის სფეროდან, ელექტროენერგიის დარგიდან და ასე შემდეგ თითო ლარი მიაქვს. იყო დაპირებები, რომ ნავთობი გაიაფდებოდა, ელექტროენერგიისა და გაზის საფასური კი განახევრდებოდა. რატომ არ გაიაფდა ეს ყველაფერი? მაშინ ბარელი ნავთობის ფასი საერთაშორისო ბაზარზე 150 დოლარი იყო, „ოცნების“ დროს 50 დოლარი გახდა, მაგრამ საქართველოში ბენზინი მაინც ძვირია. საქართველოს დიდი მხარდაჭერა აქვს აშშ-დან. ამ დროს „ქართული ოცნება“ დასავლეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს და საკუთარ ხალხს ტყუილებით კვებავს. ეს ასე მარტივად ვერ ჩაივლის. ოქტომბერში იფეთქებს პროცესები თუ სხვა დროს, პროცესებზეა დამოკიდებული.

– პოლიტიკური სპექტრი მმართველ პარტიას კონსტიტუციის გამო დაუპირისპირდა.

– კონსტიტუციის საკითხში „ოცნება“ ერთ მხარეს მარტო აღმოჩნდა, მეორე მხარეს არიან დანარჩენი პარტიები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ამაზე ბოლო დროს უღიმღამო განცხადებები გააკეთა პრეზიდენტმა. იგი ცდილობს „ოცნებისგან“ დისტანცირებას.

– პრეზიდენტი „ოცნებისაგან“ დიდი ხანია დისტანცირებულია.

– ადრე გიორგი მარგველაშვილი ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ახლა უნდა „ოცნებისაგან“ გამიჯვნა. ამ ხელისუფლებაში არავინ არაფერს წყვეტს, ერთი მმართველის გარდა.

– არ იზიარებთ მოსაზრებას, რომ ბოლო თვეებში ივანიშვილი პროცესებს ჩამოსცილდა?

– ყველაფერს ისევ ბიძინა ივანიშვილი წყვეტს. ამაში მოსახლეობაც დარწმუნებულია. ახალი გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 50-%-ზე მეტი დარწმუნებულია, რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავს. პრობლემები ივანიშვილს იმითაც ექმნება, რომ აშშ-ში იძიებენ პუტინის გარემოცვის, მასთან დაახლოებული ოლიგარქების საქმეებს, მათი ქონების წარმომავლობას. დაახლოებით 150 დღეში შედეგი დაიდება. გამოძიება აუცილებლად დაინტერესდება გაზპრომის მეწილეების ამბებით.

– აშშ-ში ყველაზე მეტად იმის დამტკიცება უნდათ, რომ რუსეთი ერეოდა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში.

– რუსეთი რომ ამერიკის არჩევნებში ერეოდა, ეჭვს არ იწვევს. კრემლი მარტო ამერიკის არჩევნებში არ ჩარეულა. 2012 წელს ჩვენთან აგიტაცია იყო გაშლილი დეზინფორმაციით, ტყუილი დაპირებებითა და დადგმული სცენებით, რუსეთის გავლენის აგენტების მონაწილეობით. ეს რუსეთიდან მომდინარეობდა. ამას უკვე აეხადა ფარდა. საზოგადოება მიხვდა, როგორ გააბრიყვა „ქართულმა ოცნებამ“ . მისი კანდიდატი კახი კალაძე ხალხს არწმუნებს, რომ უკანონო და უსისტემო მშენებლობებს არ დაუშვებს. ამ დროს თვითონ აშენებს 8-სართულიან სახლს, თან ციფრებშიც იჭრება. თურმე, ვიღაცას 38.000 აერია 380.000-ში. არადა, ნოტარიუსთან ციფრები სიტყვიერადაც ფორმდება. „ოცნება“ გაბრიყვების ხერხს ისევ იყენებს, თუმცა, ხალხი აღარ ტყუვდება.

პოროშენკო თავისი ბრიყვული მოქმედებით სააკაშვილს რეიტინგს ხელოვნურად უზრდის

უკრაინის ოდესის ოლქის ექსგუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც ხელისუფლებამ ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოართვა, ყოველთვის გამოირჩეოდა არაადეკვატური ნაბიჯებითა და მოქმედებით, მაგრამ ამჯერად უკვე საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა – ნამდვილი შოუ მოაწყო ვოდევილის ელემენტებით და უკრაინის საზღვარი იოლად გაარღვია. უფრო ზუსტად, მას „გარღვევა“ არც კი დასჭირდა, იგი „მშვიდობიანმა ადამიანებმა“ ისე „მშვიდობიანად“ გადაიყვანეს, რომ მესაზღვრეები არც განძრეულან.

ამის შესახებ აზერბაიჯანულ გამოცემა „Каспій“-ს მიერ ჟურნალისტ ალი საიდოვის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

ალბათ, აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ: უკრაინის ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ყოველთვის აცხადებდა: მოგვეცით ესა და ეს და ჩვენ მთელ მსოფლიოს გადავაბრუნებთ“. მიხეილ სააკაშვილმა კი თავისებურად გააკეთა:

– არაფერი არ მინდა, ვიტყვი და შევასრულებ! თქვა და მართლაც შეასრულა, მან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ უკრაინის ხელისუფლება საზღვარს ვერ აკონტროლებს.

იბადება კითხვა: თუ ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილთან საქმის გამწვავებაზე წავიდა, მაშინ საჭიროა მისი სასწრაფოდ დაპატიმრება და საქართველოში დეპორტაცია, ექსტრადირების მიზნით. რატომ იყო საჭირო პოლონეთში მატარებლის გაჩერება განცხადებებით – „ვაგონში არასასურველი პირია და ვერ დავიძვრებითო, თან გვარსაც არ ასახელებდნენ. და საერთოდ, როგორ გააჩერა უკრაინის ხელისუფლებამ მატარებელი პოლონეთის ტერიტორიაზე, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ არანაირი პრეტენზია არ აქვს? ან რა საჭირო იყო საზღვარზე „სპეცნაზის“ გადასროლა, თუ კაცის დაჭერის თავი არ გაქვს? მოკლედ, გასაკვირი სიტუაციაა.

ყურადღება მიაქციეთ, როგორ მოქმედებდა თვითონ მიხეილ სააკაშვილი: ჟურნალისტებთან, მხარდამჭერებთან, ცოლ-შვილთან და... უკრაინის ექსპრემიერთან ერთად. განა მომხდარი ამბები იმაზე არ მიანიშნებს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტმა ერთი ხელის აქნევით უკრაინის საზოგადოება ორად გაყო?

კითხვა ძალიან ბევრია, მაგრამ ერთი მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია: რაში სჭირდებოდა პეტრო პოროშენკოს მიხეილ სააკაშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე შოუს მოწყობა, რომ ექსპრეზიდენტმა ანკეტის შევსებისას თითქოსდა დამალაო საქართველოში მისი სისხლის სამართლებრივი დევნის ფაქტი? გამოდის, რომ მთელმა მსოფლიომ იცოდა, უკრაინის პრეზიდენტი კი გაგებაში არ იყო – ჯერ მოქალაქეობა მიანიჭა, შემდეგ ოდესის ოლქის გუბერნატორადაც დანიშნა... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. პეტროს ეგონა, რომ რადგან მიხოს მოქალაქეობას ჩამოართმევდა, პრობლემას გადაწყვეტდა, მაგრამ ნურას უკაცრავად! მიშა, როგორც ყოველთვის, ყინულმჭრელივით მოქმედებს. მის ირგვლივ უკვე მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა შეიქმნა. არ არის გამორიცხული, რომ კიევის მოქმედებამ შესაძლოა დასავლეთის უკმაყოფილება გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში უკრაინის ხელისუფლება შეიძლება რუსეთთან გარიგებაზეც კი წავიდეს – არის ამის რისკი.

მოცემულ მომენტში სიტუაცია ასეთია: პეტრო პოროშენკოსა და მის მთავრობას იმდენად ეშინია მიხეილ სააკაშვილისა, რომ მასთან კონტაქტებს ყოველნაირად გაურბიან. თავიანთი ბრიყვული მოქმედებით ისინი ექსპრეზიდენტს ხელოვნურად უზრდიან რეიტინგს უკრაინულ საზოგადოებაში. არადა, შეიძლებოდა ყველაფერი ელემენტარულად გაკეთებულიყო, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება ხოლმე: მესაზღვრეები პიროვნებას საბუთებს უმოწმებენ და სხვადასხვა მიზეზის გამო უკან აბრუნებენ. ამაში ცუდი და არაბუნებრივი არაფერი არ არის. მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებმა საქმე გააჭიანურეს, იყოყმანეს და მიხეილ სააკაშვილმაც სიტუაციით ისარგებლა, შოუ მოაწყო და უკრაინის ხელისუფლების იმიჯსაც წყალი შეუყენა, თანაც წყალი რუსეთის წისქვილზეც დაასხა – აი, რა უუნარო ხელისუფლება ჰყავს უკრაინასო.

ისმება კითხვები: რას გააკეთებს ოფიციალური კიევი? დაიჭერს მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს გადასცემს? თუ მასთან მოლაპარაკებას გამართავს და პროცესებს დაამუხრუჭებს? აშკარაა, რომ ხელისუფლებისთვის არცერთი ვარიანტი უკვე მისაღები არ არის, რადგან ა) დაჭერისათვის დრო ხელიდან გაშვებულია და თუ დაპატიმრებას შეეცდებიან, შეიძლება მაიდანი თუ არა, მნიშვნელოვანი დაპირისპირება მოხდეს; ბ) მოლაპარაკებაზე კიევი არცერთ შემთხვევაში არ წავა, საქმის „დამუხრუჭებაც“ გამორიცხულია. მიხეილ სააკაშვილი კი „ცხენზეა ამხედრებული“ და არ გაჩერდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოვლენები სწრაფად განვითარდება.

პატრიარქი: „ცოდნის მიღება არ არის საკმარისი. ურწმუნო ადამიანის გონებაში ცოდნას უარყოფითი შედეგები მოაქვს“

– ცოდნის მიღება არ არის საკმარისი, ურწმუნო ადამიანის გონებაში ცოდნას უარყოფითი შედეგები მოაქვს ცოდნის მიღება არ არის საკმარისი, ურწმუნო ადამიანის გონებაში ცოდნას უარყოფითი შედეგები მოაქვს, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში პარაკლისის დაწყებამდე ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქმა ტაძარში შეკრებილებს ეკლესიური ახალი წელი და სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

პატრიარქის თქმით, არის დღეები, როცა ადამიანი განსაკუთრებით ფიქრობს თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე და ეს დღე არის სწორედ დღევანდელი დღე.

– დღეს არის ახალი წელი ეკლესიურად და დასაწყისი სასწავლო წლისა. ორი დღესასწაული დაემთხვა ერთმანეთს. მე მინდა ორივე დღესასწაული მოგილოცოთ. დღეს ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რას გვაძლევს და რა არის განათლება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ ცოდნა. ცოდნის მიღება ეს არის „ნათელი ქრისტესი“. „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“. ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა იცოდეს, რომ „ნათელი ქრისტესი“ უნდა შევიდეს ჩვენში. ჩვენ გავუღოთ კარი და სარკმელი ჩვენი გულისა და გონებისა „ნათელსა ქრისტესა“. ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენზე, – განაცხადა პატრიარქმა.

უწმინდესმა მისი სტუდენტობის წლებიც გაიხსენა. პატრიარქის თქმით, იყვნენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებიც კარგად სწავლობდნენ, მეცადინეობდნენ და ითვისებდნენ პროფესორების მიერ გადმოცემულ ლექციებს, მაგრამ წიგნების კითხვას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას.

უწმინდესის განცხადებით, ასეთი სტუდენტები თავიანთი ცოდნითა და განათლებით სუსტები იყვნენ.

– ვიყავით ისეთი სტუდენტები, რომლებიც მივდიოდით ბიბლიოთეკაში და ვეძებდით საინტერესო წიგნებს. ჩვენ ვკითხულობდით ფილოსოფიას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას. ეს ყველაფერი აფართოებდა ჩვენს ცოდნას. უნდა ითქვას, რომ ცოდნის მიღება საკმარისი არ არის. ურწმუნო ადამიანის გონებაში ცოდნას მოაქვს უარყოფითი შედეგები. ცოდნასთან ერთად ადამიანს უნდა ჰქონდეს რწმენა, სარწმუნოება და კეთილი თვისებები. აი ასეთი კეთილი თვისებებით უნდა აღვზარდოთ ჩვენი მომავალი თაობა. მე მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს დღე და შეგახსენოთ უფლის სიტყვები – „ითხოვეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგეღოთ თქვენ“. ღმერთმა მოგცეთ მადლი, წყალობა, სიბრძნე, სიხარული, სიყვარული და მტკიცე სარწმუნოება, – განაცხადა ქადაგების ბოლოს უწმინდესმა.

ექვსი ბავშვისთვის უკანონოდ შეწყვეტილი დახმარება, რის გამოც სკოლაში ვერ მიდიან

მთიულეთში, სოფელ ბედონში, ბედოიძეების ექვსშვილიან ოჯახს სოციალური მომსახურების სააგენტო ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებულ საარსებო შემწეობის თანხას არ აძლევს. ექვსი ბავშვიდან ოთხი ხვალ სკოლაში უნდა წასულიყო, თუმცა იმის გამო რომ მშობლებმა ტანსაცმელი ვერ უყიდეს, ბავშვები სკოლაში ვერ მივლენ.

ათსულიანი ოჯახის მთავარი შემოსავალი სოციალური დახმარებაა, სულ 460 ლარი. საარსებო შემწეობა 2015 წლის ოქტომბერში შეუჩერეს – „რადგან ძროხა გყავთ, არ გეკუთვნითო“. ამას მოჰყვა სასამართლო პროცესები. მრავალშვილიანმა ოჯახმა სასამართლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დახმარებით მიმართა.

მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმე მოიგეს – მოსამართლემ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ბედოიძეებისთვის 6 თვის განმავლობაში უკანონოდ შეწყვეტილი დახმარების ანაზღაურება დაავალა. იმის მიუხედავად, რომ ექვსი ბავშვი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს, სოციალური მომსახურების სააგენტომ დაკისრებული თანხის გადახდაზე უარი თქვა და გადაწყვეტილება გაასაჩივრა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატის თამაზ ქაშიაშვილის განცხადებით, 2017 წლის იანვარში თბილისის სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. მას შემდეგ 8 თვეზე მეტი გავიდა. სააგენტომ ბედოიძეებს კუთვნილი დახმარება ამ დრომდე არ მისცა.

* * *

ლია გამჯაშვილი დიასახლისია. სოფელ ბედონში, მეუღლესთან – იაგო ბედოიძესთან, დედამთილ-მამამთილთან და ექვს შვილთან ერთად ცხოვრობს. ორ ბავშვს პაპაბებიას ოთახში სძინავს, ორს ერთ „კრაოტში, თავ-ბოლოში“, ორი კი მშობლებთან წვება.

გაჭირვება ყველაზე მძიმედ ბავშვებზე აისახება: არც სასკოლე ნივთები აქვთ და მშობლებიც ვერ ახერხებენ ტანსაცმლის ყიდვას – ბავშვებს მეზობლის ნაჩუქარი ფეხსაცმელები აცვიათ.

– ლობიო მაქვს დათესილი, ხან კარტოფილი მაქვს და იმას ვუკეთებ. სხვა ვერაფერს. ამათ ხორცი რომ ჭამონ, მაგდენს ვერ ვყიდულობ. ხან ხინკალი უნდათ, ხან ხაჭაპური და აბა რითი?! ხანდახან ბლინებს თუ გამოვუცხობ რომ გავახარო.

პატარებს სათამაშოები არ აქვთ – „ხან მიწაში თამაშობენ, ხან ქვებით. პურის ფული არა მაქვს და სათამაშოებს როგორ ვუყიდი ბავშვებს.“ არადა, მეზობელს რომ აქვს, ისეთ ველოსიპედზე და თანაკლასელის „თამაშებიან პლანშეტზე“ ოცნებობენ. და მაცივარზე კიდევ! მაცივარი რომ ჰქონდეთ, აღარც გაზქურაზე შემოდგმული სუპი ამჟავდება და აღარც მშივრებს მოუწევთ დაძინება.

აქ არც ახალი წელია ისეთი ხალისიანი, როგორიც უნდა იყოს.

– თოვლის ბაბუა ვიღამ იცის აქ. თოვლის ბაბუა კი არა, შარშან დედამთილმა უყიდა კამფეტი საახალწლოდ ამათ, თორემ ვერაფერს ვიყიდიდი მე. ჩემი მეუღლის ნაქონი პატარა ნაძვის ხე აქვთ და იმას ვუდგამთ ხოლმე. სათამაშოებიც დედამთილმა უყიდა შარშან, ათი ცალი.

გაჭირვების მიუხედავად, ლია გამჯაშვილი იმედიანადაა – სახელმწიფოსგან 6 თვის განმავლობაში უკანონოდ შეწყვეტილ სოციალურ დახმარებას ელოდება.

– ბავშვებისთვის მჭირდება, არაფერი მიყიდია ჯერ სასკოლედ. გული მწყდება, რომ სხვა ბავშვებს აქვთ ყველაფერი, ჩასაცმელი იქნება, საკვები თუ სათამაშო. ზოგი რომ გამოდის გარეთ ნამცხვრით, კამფეტით ხელში და ჩემებს რომ არა აქვთ, ამის გამო გარეთ ვერ ვუშვებ ჩემ შვილებს და ამიტომ სულ სახლში არიან.

„ითის ამბებმა“ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა იმის გასარკვევად, რატომ შეუწყვიტეს სოციალური დახმარება ბედოიძეების ექვსშვილიან ოჯახს, შემდეგ რატომ გაასაჩივრეს მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და რატომ არ ასრულებენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკისრებულ ვალდებულებას?

– 2013 წელს გადამწმდა ბაზაში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი ფორმა 100-ის რელევანტურობა. არასწორად მითითებული ფორმა 100-ის გამო რამდენიმე ოჯახს შეუჩერდა საარსებო შემწეობა. მათ შორის იაგო ბედოიძის ოჯახსაც, თუმცა ხელახალი გადამოწმების შემდეგ მათ კვლავ დაბალი სარეიტინგო ქულა მიიღეს და გახდნენ საარსებო შემწეობის მიმღებები. რაც შეეხება მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ეს განჩინება სოციალური მომსახურების სააგენტოს დღეს ჩაბარდა. სააგენტო უმოკლეს ვადებში აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, – განაცხადეს სააგენტოში.

მთისამბები.ge

აიეტი კუკავა: „ქვეყანაში არსებობს დადებითი ძვრები, რომლის გამოც MOODY's-ის რეიტინგში საქართველო დაწინაურდა“

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია MOODY's-ის მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგის Ba3-დან Ba2-მდე გაუმჯობესებას „კომერსანტთან“ „ალიანს ჯგუფი ჰოლდინგის“ ხელმძღვანელი **აიეტი კუკავა** აფასებს. მისი შეფასებით, 2014 წელს, როდესაც ეკონომიკა განიცდიდა გამოწვევებს იმის გამო, რომ რეგიონში იყო ძალიან რთული სიტუაცია, ქვეყნები სტაგნაციას განიცდიდნენ, ამ დროს კი საქართველოს ეკონომიკა იზრდებოდა.

მისი მტკიცებით, ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყანა აღმავალი ტემპით მიდიოდა. კერძოდ, სტაბილურია ეკონომიკა, ქვეყანამ დაამტკიცა, რომ უძლებს შიდა და გარე მაკროეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ზეწოლას, რაც კუკავას განმარტებით, პლუსია. თუმცა. მისივე შეფასებით, არსებობს მინუსები, რაც ქვეყანას გამოსასწორებელი აქვს.

მათ შორისაა, ეკონომიკის ვიწრო ბაზა და საბანკო სექტორის ხვედრითი წილის სიდიდე ეკონომიკაში. კუკავას მტკიცებით, აუცილებელია ქვეყანაში ეკონომიკის სხვადასხვა დარგები უფრო სწრაფად გაიზარდოს ვიდრე საბანკო სფერო იზრდება.

პოზიტიურად აისახება, თუკი „სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, მშენებლობა და უძრავი ქონება, ტრანსპორტი, ლოგისტიკა, წარმოება და სხვა დარგები უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება ვიდრე საბანკო სექტორი“, – აცხადებს კუკავა.

კითხვაზე, რატომ მიენიჭა საქართველოს სტაბილური სუვერენული რეიტინგი და არა პოზიტიური, კუკავა განმარტავს, რომ მართალია, ქვეყანაში არსებობს დადებითი ძვრები, რომლის გამოც რეიტინგში დაწინაურდა საქართველო, თუმცა, არის ნეგატიური პროცესებიც, რომელიც ქვეყანას პოზიტიური რეიტინგის მოპოვებაში ხელს უშლის.

ნეგატიურ პროცესებს შორის კუკავა ასახელებს საბანკო სექტორში მნიშვნელოვანი დოლარიზაციის დონისგან გამოწვეული რისკებს, ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტისა და წმინდა საერთაშორისო დავალიანების სიდიდეს, ეკონომიკის დარგების დაბალ მწარმოებლურობას. დამატებით გასაუმჯობესებელია ბიზნესის კლიმატი, ჯერ კიდევ გაურკვეველია გაკოტრების შესახებ კანონი, სადაც მსოფლიო ბანკის დონიგ ბუსინესს (ბიზნესის კეთების) რეიტინგში საქართველო 106-ე ადგილს იკავებს.

ასამაღლებელია პროფესიული სწავლების დონე, კვალიფიციური მუშახელი, საბაჟო პროცედურები, საკვების ხარისხის კონტროლი, განათლების სისტემა, დასახვეწია დასაქმების კანონი, გასაზრდელია ეკონომიკის დივერსიფიცირება. ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით და EU სტანდარტების დანერგვით მნიშვნელოვანი პროგრესია მოსალოდნელი.

ამის გარდა, დსთ-ის ქვეყნებთან, თურქეთთან და ჩინეთთან გაღრმავებული ურთიერთობები დივერსიფიცირების გარდა, ექსპორტის ზრდასაც გამოიწვევს.

მისი შეფასებით, პოზიტიურ ძვრებს სხვა მიმდინარე რეფორმებს შორის ესტონური მოდელი და ახალი 2018 წელს დაგეგმილი საპენსიო რეფორმის წარმატებული განხორციელებაც გამოიწვევს, რომელმაც შიდა გრძელვადიანი ლარის აქტივების დაგროვებით და ინსტიტუციონალური ინვესტორების ბაზის შექმნით, კაპიტალური ბაზრის განვითარებით, უნდა შეამციროს ქვეყნის გარე ინვესტიციებზე დამოკიდებულობა.

მისი პროგნოზით, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა სუვერენული რეიტინგი ნელა მაგრამ მაინც აუცილებლად გაგვეზრდება.

რაც შეეხება იმას, აისახება თუ არა რეიტინგში დაწინაურება ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლაზე, კუკავა განმარტავს, რომ როგორც კი ქვეყნის სუვერენული რეიტინგი მოიმატებს, ქვეყანაში არსებულ დიდ კომპანიებსა და ბანკებს დიდი ალბათობით მოემატებათ რეიტინგი, რაც ავტომატურად საერთაშორისო საკრედიტო რესურსების გაიაფებას გამოიწვევს.

– ეს კი პირდაპირ გადავა მომხმარებელსა და ბიზნესზე ანუ სესხები გაიაფდება და უცხოელი და ადგილობრივი მეწარმეებისთვის ბიზნესის კეთება ქვეყანაში უფრო მიმზიდველი გახდება აცხადებს კუკავა.

შეგახსენებთ, პრემიერ მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ Ba2, სხვა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების შეფასებებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგია. მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ ერთი მნიშვნელოვანი სარეიტინგო სააგენტოს მიერ რეიტინგის გაუმჯობესება სხვა კომპანიების – Standard & Poor's და Fitch-ის რეიტინგებშიც აისახება.

– ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე მივიღოთ საინვესტიციო რეიტინგი BBB-, რაც არის საინვესტიციო რეიტინგების კატეგორია და ქვეყანას საინვესტიციო სამყაროში თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს და როგორც სუვერენული, ისე კერძო სექტორისთვის ფონდების მოზიდვა გაცილებით იოლი და იაფი გახდება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პერსპექტივა შეფასდა სტაბილურად. მინდა, სიტყვა სიტყვით გავიმეორო, რომ რეიტინგის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, 2014-2016 წლებში რეგიონში განვითარებული გამოწვევების – შოკის წარმატებულად დაძლევა სახელდება. ასევე, Moody's-ის შეფასებით, ამ პერიოდში, საქართველოს საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 3.4% შეადგინა მაშინ, როცა რეგიონის ბევრი ქვეყნის ეკონომიკა რეცესიაში, ან რეცესიის პირას იყო. მისასალმებელია, რომ კომპანია ხაზს უსვამს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და ინსტიტუტების ზრდად სიძლიერეს – ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ დადებით დინამიკას, პოზიტიურ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, მდგრად ფისკალურ პოლიტიკას და განხორციელებულ სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ დადებითად შეაფასა რეფორმები, რომლებიც დოლარიზაციის შემცირებისა და ლარიზაციის ზრდისკენ არის მიმართული, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

კომერსანტი

აშშ საქართველოს დამატებით დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარის ოდენობის დახმარებას გამოუყოფს

აშშ საქართველოს დამატებით დაახლოებით 20 მლნ აშშ დოლარით დაეხმარება. როგორც „კომერსანტს“ ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს, არსებულ საგრანტო შეთანხმებებში შესული შესაბამისი ცვლილებები განიხილეს დღეს საქართველოს პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის დირექტორმა დუგლას ბოლმა შეხვედრაზე, რომელიც ფინანსთა სამინისტროში გაიმართა.

შეხვედრაზე პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის მთავრობასა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებისთვის. მისი თქმით, ის დახმარება, რომელიც საქართველომ 1992 წლიდან მიიღო უშუალოდ USAID-ის გავლით, 1,5 მლრდ აშშ დოლარზე მეტია, ხოლო აშშ-დან – 4 მლრდ აშშ დოლარზე მეტი.

განახლებული შეთანხმებები მოიცავს საქართველოსთვის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა „ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა“, „დემოკრატიული კონტროლი და ბალანსი და ანგარიშვალდებული მმართველობა“ და მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება“.

შეთანხმებების ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნესსტანდარტების საყოველთაო დანერგვისა და სხვადასხვა სექტორში კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტურად მართვისა და ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციისა და ჩართულობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

კომერსანტი

მოაგვარებენ თუ არა მერობის კანდიდატები ე.წ. ხრუშჩოვკების პრობლემას?

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, უკვე გვესმის მერობის კანდიდატების მოსაზრებები სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, რას ფიქრობენ ისინი ე.წ. ხრუშჩოვკების პრობლემაზე? ეს არის საკითხი, რაზეც საუბარი უკვე წლებია მიმდინარეობა, თუმცა დღემდე არ არის მის მოსაგვარებლად კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული.

„ქართული ოცნების“ კანდიდატი კახა კალაძე ფიქრობს, რომ პირველი ნაბიჯი, რომელსაც ის მერად მოსვლის შემთხვევაში გადადგამს, არის იმ სახლების სრული ინვენტარიზაცია, რომელიც ამ დროისათვის რეაბილიტაციას საჭიროებს.

– სამწუხაროდ არ არის ინვენტარიზაცია გაკეთებული თუ რა რაოდენობაზეა საუბარი. ჩვენ ვიცით რომ დაახლოებით 500-ზე მეტი ხრუშჩოვკაა ქალაქში, თუმცა ავარიული სახლების სრული ინვენტარიზაცია არ გაკეთებულა და პირველი ჩვენი მიმართულება იქნება ამ ყველაფრის ინვენტარიზაცია, – აცხადებს კალაძე.

ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ზაალ უდუმაშვილს მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაჭრას, განსაზღვრულ ვადებში, ვერცერთი მერობის კანდიდატი სრულად ვერ მოახერხებს. ხრუშჩოვკების ახალი კორპუსებით ჩანაცვლებას კი, მერობის კანდიდატი უტოპიასაც უწოდებს.

– ის ფაქტი, რომ ხრუშჩოვკების პრობლემა ასე მალე გადაიჭრება და ხრუშჩოვკები ახალი კორპუსებით ჩანაცვლდება, არის უტოპია. ამას სჭირდება ბევრი წელი, დიდი მუშაობა და ძალიან დიდი ინვესტიცია. მთავარი მიმართულება ჩემი მერობის პერიოდში იქნება არა მხოლოდ ხრუშჩოვკების ჩანაცვლება, არამედ ავარიული სახლების გამაგრება, – განმარტავს უდუმაშვილი.

„ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატ ელენე ხოშტარიას თქმითაც, აღნიშნული პრობლემა უკვე წლებია ძალიან აქტუალურ საკითხად იქცა. ხოშტარია ხრუშჩოვკებს, როგორც ცალკე აღებულ პრობლემას არ გამოყოფს. ის ამ საკითხს ავარიული სახლების პრობლემასთან აერთიანებს.

– ესეც არის პოპულიზმი. ჩვენ გვინახავს ჯერ კიდევ შიხიაშვილის განცხადებები, რომელიც 6 მილიონიან პროექტს გვთავაზობდა თითქოს ხრუშჩოვკებს შეცვლიდა. ჩვენთვის ამოცანაა მწვავე ავარიული სახლების რეაბილიტაციის პროცესის და ზოგადად უბნების რეაბილიტაციის პროცესის დაწყება, – ამბობს ხოშტარია.

დამოუკიდებელი კანდიდატი ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ თბილისში არსებობს ისეთი ნაგებობები, რომლებიც ხრუშჩოვკებზე ცუდ მდგომარეობაშია.

– თბილისში არის დაახლოებით 2.000-მდე ავარიული კორპუსი და 12.000 ავარიული სახლი. აქედან კონტექსტიდან ამოგლეჯა – რომ მაინცდამაინც ხრუშჩოვკები უნდა გავამაგროთ, მე ძალიან არასერიოზულად მიმაჩნია. ზოგიერთი ხრუშჩოვკა კონსტრუქციულად უფრო მყარია, ვიდრე ბოლო 25 წლის განმავლობაში აშენებული კორპუსი, – აცხადებს ელისაშვილი.

მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ პირველ მგზავრებს, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში მიიღებს

თბილისის მეტროპოლიტენის 23-ე მეტროსადგური „უნივერსიტეტი“ პირველ მგზავრებს, სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში მიიღებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აცნობეს.

როგორც ფონდში აცხადებენ, მეტროსადგურ „უნივერსიტეტში“ ყველა სახის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და 20 სექტემბრამდე სადგური სატესტო რეჟიმში იმუშავებს. ამ მიზნით ადგილზე უცხოელი სპეციალისტები იმყოფებიან, რომლებიც ქართველ კოლეგებთან ერთად ამ პროცესში მონაწილეობენ.

ფონდის ინფორმაციით, სატესტო რეჟიმის შემდეგ ახალი მეტროსადგურის „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ გადაცემის პროცედურები დაიწყება. მეტროსადგურს ოთხი ამოსასვლელი ექნება და უახლესი ტექნიკით აღიჭურვება.

ფონდში აცხადებენ, რომ მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ ამოქმედება საბურთალოს რაიონში მიწისზედა სატრანსპორტო ნაკადებისა და საცობების შემცირებას შეუწყობს ხელს.

მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და დაახლოებით 84 მლნ ლარი დაიხარჯა. მშენებლობა ფაქტობრივად 20 წლის განმავლობაში დაკონსერვებული იყო.

როგორც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აცხადებენ, სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა, ესპანურმა კომპანიამ „COBRA ASSIGNIA“ (კობრა ასიგნიამ) განახორციელა. მეტროსადგურის დიზაინიც ასევე ესპანურ კომპანიას ეკუთვნის.

საზედამხედველო საფასურის გადახდა სადაზღვევო კომპანიებს მოუწევთ

დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილებები შედის, რომლის მიხედვითაც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს ბიუჯეტი აღარ დაუფინანსებს და ე.წ საზედამხედველო საფასურის გადახდა სადაზღვევო კომპანიებს მოუწევთ. კანონპროექტის მიხედვით, საზედამხედველო საფასური განისაზღვრება მზღვეველის გამომუშავებული ბრუტო პრემიის 1%-ის ან/და მოგროვებადი და დაბრუნებადი სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მზღვეველების კუთვნილი შემოსავლის 1%.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის ბიუჯეტი 1.180.000 ლარს შეადგენს. საზედამხედველო სფეროში შემავალი პირების მიერ სამსახურის დაფინანსების შემთხვევაში სამსახურის ბიუჯეტი 2018 წლისათვის სავარაუდოდ იქნება 4.000.000 ლარი, საიდანაც სამსახურის მიერ კანონით გათვალისწინებული გადასახადებით, გარდა საშემოსავლო გადასახადისა, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადასახდელი ოდენობა სავარაუდოდ შეადგენს 1.000.000 ლარს.

დაზღვევის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი უკვე პარლამენტშია. დოკუმენტს პირველი მოსმენით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ.

პარლამენტის კომიტეტმა გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა დაამტკიცა

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა დაამტკიცა.

პარლამენტში გენერალური აუდიტორის კანდიდატურის დასამტკიცებლად ფარული კენჭისყრა გაიმართა. კენჭისყრაში 9 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა, აქედან რვამ მექვაბიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა, ერთმა თავი შეიკავა.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე მიიჩნევს, რომ ირაკლი მექვაბიშვილის გამოცდილება სახელმწიფო აუდიტის შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას მნიშვნელოვნად გამოადგება.

8 სექტემბერს პარლამენტის თავმჯდომარემ აუდიტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ირაკლი მექვაბიშვილის კანდიდატურა წარადგინა.

გენერალური აუდიტორობის კანდიდატი ირაკლი მექვაბიშვილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურში საკადრო ცვლილებებს არ გამორიცხავს.

ამის შესახებ მექვაბიშვილმა ჟურნალისტებს იმ კითხვის საპასუხოდ განუცხადა, გეგმავს თუ არა საკადრო ცვლილებებს აუდიტის სამსახურში, მათ შორის, ნინო ლომჯარიასთან მიმართებაში.

– საკადრო თემასთან დაკავშირებით, თქვენ იცით, რომ გენერალურ აუდიტორს კანონით აქვს მინიჭებული ფუნქცია და უფლებამოსილება, მიიღოს საკადრო გადაწყვეტილებები, მათ შორის, მოადგილეებთან დაკავშირებით. მე ვიცი, რომ აუდიტის სამსახურში კვალიფიციური კადრები, კომპეტენტური ხალხი მუშაობს და მინდა გითხრათ, რომ ყველა კომპეტენტური, კვალიფიციური კადრი დარჩება ჩვენთან. მე, როგორც გენერალური აუდიტორი, ვიზრუნებ თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაციის ამაღლებაზე. თუ დადგება აუცილებლობა ისევ და ისევ იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი სტრუქტურა გახდეს ეფექტური, მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული, შეიძლება დროთა განმავლობაში საკადრო გადაწყვეტილებები მივიღო და ეს უფლება გამოვიყენო, – განაცხადა მექვაბიშვილმა.

თელასი 5 ათასი ლარით დაჯარიმდა



სს „თელასი“ სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5.000 ლარით დაჯარიმდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) 14 სექტემბრის საჯარო სხდომაზე მიიღო.სემეკის ცნობით, დაჯარიმების საფუძველია სს „თელასის“ მიერ კომერციულ მომხმარებლებთან გაფორმებული ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და სემეკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

სს „თელასს“ დაევალა, ორი თვის ვადაში უზრუნველყოს გაფორმებული ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების საქართველოს კანონმდებლობასა და კომისიის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბან

კახეთის რეგიონში მევენახეების შემოსავლებმა 32 მლნ ლარს გადააჭარბა

რთველი-2017-ის პროცესში, კახეთის რეგიონის მევენახეების მიერ ღვინის კომპანიებში ყურძნის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა 32,2 მლნ ლარს მიაღწია.

14 სექტემბრის 10.00 საათის მონაცემებით, კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 29,7 ათასი ტონა ყურძენი. მთლიანი გადამუშავებული ყურძნიდან 12 ათასი ტონა რქაწითელი, 14,8 ათასი ტონა საფერავი, 1,2 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ყურძნის დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელმა 4,2 ათას ტონას გადააჭარბა, რაც ნიშნავს, რომ რთველი კახეთის რეგიონში აქტიურ ფაზაშია. ამ ეტაპისთვის რთველის საკოორდინაციო შტაბში დარეგისტრირებულია 157 ღვინის კომპანია, ყურძნის გადამუშავების პროცესში ჩართულია 79. გადამუშავებული ყურძნის რაოდენობით მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: ყვარელი – 11,2 ათასი ტონა, სიღნაღი – 6 ათასი ტონა, თელავი – 3,8 ათასი ტონა, გურჯაანი – 4,5 ათასი ტონა, დედოფლისწყარო – 2,1 ათასი ტონა, ახმეტა – 820 ტონა, ლაგოდეხი – 866 ტონა და საგარეჯო – 396 ტონა.

მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის (ღვინის ექსპორტის ზრდა, საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია, გაფართოებული ღვინის საწარმოები, იაფი აგროკრედიტებისა და აგროდაზღვევის განვითარებული სისტემა) და ყურძნის შესყიდვაზე კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნილების ზრდის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ყურძენზე სუბსიდია აღარ გაიცემა. ამასთან ერთად, ბრენდის წარმოების განვითარების ხელშესაწყობად, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ.

რა ანაზღაურება აქვთ ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლებს

მთავრობის დადგენილებით, ენერგეტიკის სამინისტროს საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების შესახებ განკარგულებაში ცვლილება შევიდა.

ცვლილებების თანახმად, უწყების ცენტრალურ აპარატში სულ შტატით გათვალისწინებული 106 თანამშრომელია. რაც შეეხება ხელფასებს, უწყებაში შრომის ანაზღაურებაზე მიმდინარე წელს ჯამში, 2.005.00 ლარია გათვალისწინებული.

დადგენილების მიხედვით, მინისტრის თანამდებობრივი სარგო ყოველთვიურად 3.540 ლარია; მინისტრის პირველი მოადგილის 2.950, ხოლო მინისტრის მოადგილეების 2.720 ლარი.

განსხვავებულია მინისტრის მრჩევლების ანაზღაურება. კერძოდ, მათი თანამდებობრივი სარგო თვეში 1.770 და 1.540 ლარია.

2.010 ლარი აქვს მინისტრის აპარატის უფროსს; 1.070 ლარი – მინისტრის რეფერენტს; განსხვავებულია მინისტრის თანაშემწეების სარგოებიც და ორ მათგანს 1.070 ლარი, ხოლო ერთს 830 ლარი აქვს.

განსხვავდება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტების თანამდებობრივი სარგოებიც და მათი ოდენობა შემდეგნაირია: 1.070; 1.420; 1.540; 1.660 და 1.770 ლარი.

მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების სარგო თვეში 1.070 და 950 ლარს შეადგენს, ხოლო მესამე კატეგორიის სპეციალისტების – 710 და 590 ლარია.

ივლისის მონაცემებით, კომერციული ბანკების მიერ 19.5 მილიარდი ლარის სესხია გაცემული

მიმდინარე წლის ივლისის მონაცემებით, 19.5 მილიარდი ლარის სესხია გაცემული. ამის შესახებ ეროვნული ბანკის ფინანსური სექტორის მიმოხილვაშია ნათქვამი.

მიმოხილვის თანახმად, ივლისის მდგომარეობით 3.7 მილიარდი ლარის სამომხმარებლო სესხი გაიცა, 2016 წლის ამავე პერიოდში კი 3.9 მილიარდი ლარის.

საანგარიშო პერიოდში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1.6 მილიარდი ლარით გაიზარდა იპოთეკური სესხები. კერძოდ, 2017 წლის ივლისის მონაცემებით, 4.4 მილიარდი ლარის იპოთეკური სესხია გაცემული, მაშინ, როცა 2016 წლის ამავე პერიოდში ეს მონაცემი 2.8 მილიარდი ლარი იყო.

ეროვნული ბანკის მიმოხილვის მიხედვით, ივლისის მონაცემებით, ბიზნესზე გაცემულმა სესხებმა 2 მილიარდი ლარი შეადგინა. გასული წლის ამავე პერიოდში ეს მაჩვენებელი 2.2 მილიარდი ლარი იყო. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი – 1.6 მილიარდი ლარი ენერგეტიკაზეა გაცემული; 0.8 მილიარდი მშენებლობაზე; ხოლო 0.5 მილიარდი ლარი გაიცა ვაჭრობაზე.

პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ შეიძლება გამოძიება დაიწყოს

მთავარმა პროკურატურამ მომღერალ პაატა ბურჭულაძესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ განცხადების შესწავლა დაიწყო.

რაც შეეხება იმას, რამდენად შეიძლება, უწყებამ ბურჭულაძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყოს, როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში განუცხადეს, თუ განცხადების შესწავლის პროცესში დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, გამოძიებას დაიწყებენ.

– აღნიშნული განცხადება შემოტანილია პროკურატურაში. ამჟამად მიმდინარეობს შესწავლა. თუ შესწავლის პროცესში იქნება დანაშაულის ნიშნები, დავიწყებთ გამოძიებას, – განაცხადეს პროკურატურაში.

როგორც ცნობილია, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ საქართველოს პროკურატურას მოუწოდებს, პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ საქმიანობით დაინტერესდეს.

როგორც აფბა-ს წარმომადგენელმა ანდრია გვიდიანმა განაცხადა, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში უნდა გაირკვეს, რა მიზნებისთვის იხარჯებოდა ფონდიდან მილიონობით ლარი.

ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირმა ქალაქ ბათუმში ფიზიკურ პირზე ყალბი ფული – 3.000 აშშ დოლარი გაასაღა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია 30 ცალი 100-დოლარიანი ყალბი კუპიურა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურორის მიერ მოწმეზე განხორციელებულ შესაძლო ზეწოლაზე შემოწმება დაიწყო

საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში ვალერი გელბახიანის განცხადების შემდეგ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო. ამის შესახებ „ნიუპოსტს“ შოთაძის უწყებაში განუცხადეს.

– 2017 წლის 14 სექტემბერს მედიასივრცეში ადვოკატ ვალერი გელბახიანის მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც იგი მიუთითებდა პროკურატურის თანამშრომლის მხრიდან მასზე და ბრალდების მოწმეზე განხორციელებულ ზეწოლაზე, საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება. ადვოკატი ვალერი გელბახიანი მთავარ პროკურატურაში დაბარებულია გამოკითხვაზე, – აცხადებენ მთავარ პროკურატურაში.

„ნიუპოსტთან“ საუბრისას ვალერი გელბახიანმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი საქმის მოწმეებზე პროკურორი ზეწოლას ახორციელებს, თავად მას კი დაჭერით ემუქრება.

ყარაჯალაში ავტომობილი ხევში გადავარდა, ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში პიკაპის ტიპის ავტომობილი ხევში გადავარდა.

ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა.

მძღოლი რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ლანჩხუთში ავტოსაგზაო შემთხვევას სატვირთო ავტომობილის მძღოლი ემსხვერპლა

ლანჩხუთში, სოფელ ზემო შუხუთთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სატვირთო ავტომობილის მძღოლი ემსხვერპლა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, წინასწარი ინფორმაციით, ავტომობილის საბურავს ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც ის არხში ჩავარდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, შემთხვევის დროს სატვირთო ავტომანქანაში მხოლოდ მისი მძღოლი იმყოფებოდა და ის ადგილზე გარდაიცვალა.

შემთხვევა დაახლოებით ერთი საათის წინ მოხდა და ადგილზე ამ დრომდე მუშაობენ სასწრაფო და სამაშველო სამსახურების თანამშრომლები.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, რაც ავტომობილის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის საპროცესო შეთანხმების საკითხი „ცენტრ პოინტში“ ინვესტორის შესვლის შემდეგ გაირკვევა

ადვოკატის განცხადებით, მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის საპროცესო შეთანხმების საკითხი „ცენტრ პოინტში“ ინვესტორის შესვლის შემდეგ გაირკვევა. თბილისის საქალაქო სასამართლოში „ცენტრ პოინტის“ საქმის ერთ-ერთ ეპიზოდზე შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთის“ პროცესი მიმდინარეობს.

როგორც სხდომის დაწყების წინ ადვოკატმა ბონდო ვათიაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ საქმეზე პროცესი ჩვეულებრივად გრძელდება, სადაც დაცვის მხარე ბრალდების მხარის მტკიცებულებებს იკვლევს. მისივე თქმით, დაიკითხება ბრალდების მხარის ერთი ან ორი მოწმე.

რაც შეეხება „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლებთან, მაია რჩეულიშვილთან და რუსუდან კერვალიშვილთან საპროცესო შეთანხმებას, ადვოკატ ბონდო ვათიაშვილის თქმით, „ცენტრ პოინტის“ გაყიდვის თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ინვესტორებთან, შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხიც ინვესტორთა შემოსვლის შემდგომ გაირკვევა.

– საქმეში დაზარალებულები ძალიან ბევრნი არიან. სწორედ ამ დაზარალებულების ინტერესებიდან გამომდინარე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს ინვესტორებთან. ინვესტორების შემოსვლის შემდეგ უკვე რეალურად დადგება დღის წესრიგში საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი, – განაცხადა ბონდო ვათიაშვილმა.

გუკა რჩეულიშვილი: „კომპანია, რომელიც „ცენტრ პოინტს“ შეისყიდის, დაზარალებულების წინაშე ყველა ვალდებულებას აიღებს“

„ცენტრ პოინტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუკა რჩეულიშვილის განცხადებით, სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ გაყიდვის საქმეზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა რომელი კომპანიებია შესყიდვით დაინტერესებული, ამ ეტაპზე რჩეულიშვილი არ აკონკრეტებს.

მისივე განცხადებით, ვინც „ცენტრ პოინტს“ შეისყიდის, ყველა ვალდებულებას ის აიღებს და მყარ გარანტიებს დაზარალებულებს ის მისცემს.

– წინა განცხადება აგვისტოს ბოლოს გავაკეთე. მას შემდეგ, რეალურად, სურათი არ შეცვლილა – მოლაპარაკება მთლიანად კომპანიის გაყიდვაზე მიმდინარეობს. ჩვენთვის და ამ მომენტში ჩართული ყველა მხარისთვის მთავარია, რომ ვალდებულებები დასრულდეს. თუ რომელი კომპანიაა დაინტერესებული, ამაზე ახლა კომენტარს ვერ გავაკეთებ იმიტომ, რომ ამ საკითხზე თუ უნდათ თვითონ კომპანიებმა ისაუბრონ. ჩემი მხრიდან არასწორი გამოდის საუბარი. შესყიდვით საკმაოდ დიდი ჯგუფებია დაინტერესებული. ჩემი მხრიდან შემიძლია ვთქვა, რომ პირადად ჩემი რაც არის გასაკეთებელი, ყველაფერი გავაკეთეთ. ახლა უბრალოდ ველოდებით საბოლოო პასუხს იმ ხალხისგან, რომელიც შესყიდვით არის დაინტერესებული, – განაცხადა გუკა რჩეულიშვილმა.

რუსეთის მოქალაქის ძარცვის ფაქტზე ბრალდებულებს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა

ალექსიძის ქუჩაზე რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ძარცვის ფაქტზე ბრალდებულ სამ პირს თბილისის საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

სასამართლოს ცნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამყაოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, ძარცვის ფაქტზე ბრალდებული სამი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

მათ ბრალად ედებათ ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის.

საქმე ეხება, 2017 წლის 7 სექტემბერს თბილისში, ალექსიძის ქუჩაზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ძარცვის ფაქტს, რა დროსაც ბრალდებულებმა ა. ხ.-ს სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები. ბრალდებულები მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ დაზარალებულის ზურგჩანთას, რომელშიც განთავსებული იყო მობილური ტელეფონი და ფულადი თანხა – 13.000 აშშ დოლარის (32.240 ექვივალენტი ლარში) ოდენობით.

ღია სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ იქნება შემაკავებელი, პროპორციული ზომა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევისა.

საღწევად. განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ბრალდებულებს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, სასამართლოს განჩინების თანახმად, არსებობს ბრალდებულების მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხეები.

სასამართლომ განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სასამართლომ განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებულს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის ჩადენაში ი.ხ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

– სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 11 აპრილს, დაახლოებით 10.00 საათზე ი.ხ.-მ თბილისში, გიორგი მინდელის სახელობის საავტომობილო ხიდის ქვეშ, ეჭვიანობის ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი იარაღიდან გულმკერდის არეში ესროლა საკუთარ ავტომანქანაში მჯდომ ი.უ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად ი.უ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ი.ხ. 12 აპრილს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ი.ხ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ქურდობა ახალციხეში — წაღებულია სეიფი, სადაც ოქროს ნივთები იყო მოთავსებული

ახალციხეში მაღაზია გაქურდეს. გავრცელებული ინფორმაციით, მაღაზიაში ტანსაცმლითა და ოქროს ნივთებით ვაჭრობდნენ.

წაღებულია სეიფი, სადაც ოქროს ნივთები იყო განთავსებული.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. კონკრეტულად რა არის წაღებული ტაძრიდან, უწყებაში ამ დროისთვის დეტალებს არ აკონკრეტებენ.

დონბასში სამშვიდობოების განლაგება მხოლოდ რუსული არმიის გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი!

გრძელდება დისკუსია დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების შესაძლო ჩაყენების გარშემო. ეს პუტინ-მერკელის სატელეფონო საუბრისას ძირითადი თემა იყო. რუსული დიპლომატია აქტიურად იღვწის საიმისოდ, რომ საერთაშორისო საზოგადოება მშვიდობის რუსულ მოდელს დათანხმდეს. კრემლი მოითხოვს, რომ სამშვიდობო ძალების ჩაყენების საკითხში ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების აზრიც გაითვალისწინონ. სეპარატისტები კატეგორიულად აცხადებენ:

– გაეროს სამშვიდობო კონტინგენტში რუსი ჯარისკაცებიც უნდა იყვნენ!

უკრაინის პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრმა კლიმკინმა გაახმოვანა. მისი აზრით, გამორიცხულია, რომ სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში რუსებიც შევიდნენ. კლიმკინმა ხაზი გასვა იმას, რომ რუსეთი კონფლიქტის მხარეა. შესაბამისად, გამორიცხულია, სამშვიდობო კონტინგენტში თუნდაც ერთი რუსი ჯარისკაცი შევიდეს.

– საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთს ტერორისტების მხარდაჭერისათვის სანქციები დაუწესა. შესაბამისად, სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში რუსების შეყვანა გამორიცხულია! – თქვა კლიმკინმა.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე გამორიცხა ე.წ. დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების პოზიციის გათვალისწინებაც.

– ესაა მარიონეტული წარმონაქმნები და არა კონფლიქტის მხარეები, – განაცხადა მან.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენა აუცილებელია. სამშვიდობოებსაც ამ მხრივ უდიდესი როლი ეკისრებათ, მაგრამ, არსებობს საკითხები, რომლებიც ცისფერჩაფხუტიანების შემოსვლამდე უნდა მოგვარდეს.

– დონბასი როგორც რუსულმა არმიამ, ასევე დაქირავებულმა ბანდიტებმა უნდა დატოვონ. გაეროს სამშვიდობო ძალების ჩაყენებაც მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი! – განაცხადა კლიმკინმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა დონბასში გაეროს ცისფერჩაფხუტიანების ჩაყენებას მხარი დაუჭირა. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სამშვიდობოებს ფართო მანდატი უნდა ჰქონდეთ და მხოლოდ ეუთოს წარმომადგენლების დაცვით არ უნდა შემოიფარგლონ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ცისფერჩაფხუტიანები დონბასის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის რუსეთ-უკრაინის საზღვარზე, უნდა განლაგდნენ.

– აშშ-მ უკრაინას მხარი დაუჭირა, – იტყობინება მე-5 არხი.

ისრაელის „ნატივის“ ყოფილი შეფი იაკობ კედმი აღნიშნავს, რომ აშშ-ის მხარდაჭერა სრულიად ახალ სიტუაციას ქმნის. რუსეთი უკრაინის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშეა.

უკრაინელი ექსპერტი ფისენკო ხაზს უსვამს იმას, რომ ომით რუსეთი ვერას გახდა. პუტინსაც ერთადერთი გზა რჩება: უკრაინაში დესტაბილიზაციის აგორება.

– დღეს უკრაინაში ცვლილებების ხანაა. საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა ამ ცვლილებების კატალიზატორი გახდეს. პუტინი ყველაფერს იღონებს საიმისოდ, რომ სისხლი დაიღვაროს. დესტაბილიზაცია უკრაინაში კრემლის ბოლო შანსია, – ამბობს ფისენკო.

რუსეთი კიბერსივრცეში სულ უფრო აგრესიული ხდება

აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის უფროსი დენ კოუტსი აცხადებს, რომ კიბერსივრცეში რუსების მოქმედება სულ უფრო აგრესიული ხდება.

– რუსეთი აშშ-ის წინააღმდეგ კიბერშეტევებს აძლიერებს, – ამბობს კოუტსი.

ნაციონალური დაზვერვის შეფი აცხადებს, რომ პუტინმა პირადად გასცა ბრძანება კიბერშეტევების გაძლიერების შესახებ.

მაიკ ფლინი რუსულ ბიზნესში იყო ჩართული?

ამერიკელმა კონგრესმენებმა კამინგმა და ენგელმა ტრამპის ყოფილ მრჩეველ მაიკ ფლინს რუსეთთან ბიზნესკავშირი დასდეს ბრალად. ისინი ამტკიცებენ, რომ უკვე მას შემდეგ, რაც ფლინი ტრამპის მრჩეველი გახდა, ის მრავალ რუსულ-ამერიკულ ბიზნეს-პროექტს ლობირებდა.

– ფლინის კავშირი რუსულ ბიზნესთან უნდა გამოიძიონ, – ამტკიცებენ ამერიკელი კონგრესმენები.

ისრაელი ქურთებს მხარს უჭერს

25 სექტემბერს ერაყის ქურთისტანში დანიშნულია რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ. ისრაელის პრემიერმა ნეტანიაჰუმ ქურთებს მხარი დაუჭირა.

– ქურთებს აქვთ სრული უფლება, დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნან, – განაცხადა ისრაელის პრემიერმა.

ისრაელს ქურთების მოძრაობასთან ურთიერთობა 1960 წლიდან ჰქონდა. მოსადი მუდამ ამარაგებდა ქურთებს იარაღითა და ტყვია-წამლით. ისრაელის სახელმწიფო ქურთებს განიხილავდა, როგორც ბუფერს არაბების წინააღმდეგ. ამიტომაც მხარს უჭერდა მათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სააკაშვილი ჩერნოვციში ჩავიდა

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილ ჩერნოვციში ჩავიდა. ქალაქის ცენტრში, ტარას შევჩენკოს ძეგლთან, მან მიტინგი ჩაატარა.

– ჩერნოვცელებო, ბედნიერი ვარ, რომ დიდი უკრაინელი მწერლის ოლგა კობლანსკაიას სამშობლოში ჩამოვედი! – ასე მიესალმა იქაურებს სააკაშვილი.

საქართველოს ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ 19 სექტემბერს კიევში ჩასვლას აპირებს.

– უკვე დროა, უკრაინის დედაქალაქს ვესტუმრო, – განაცხადა სააკაშვილმა.

ტერაქტი ქაბულში

ავღანეთის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. ამჯერად ტერორისტმა შაჰიდმა სტადიონის შესასვლელთან აიფეთქა თავი.

– ამ დროს იქ მატჩი მიმდინარეობდა კრიკეტში, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

აფეთქების შედეგად დაიღუპა თავად ტერორისტი და კიდევ სამი ადამიანი. ხუთი დაშავდა. თანახმად ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობისა, დაღუპულთა შორის პოლიციელებიც არიან. სტადიონის მაყურებლები, აგრეთვე სპორტსმენები არ დაზარალებულან, თუმცა მატჩი შეწყდა.

– ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ ტერორისტულ ორგანიზაციას არ აუღია, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

„არცერთ ანტირუსულ დადგენილებას ხელს არ მოვაწერ!“

მოლდოვის პრეზიდენტმა დოდონმა განაცხადა, რომ მთავრობის ყველა ანტირუსულ დადგენილებას დაბლოკავს.

– ხალხმა იმიტომ ამირჩია, რომ მოლდოვის რუსეთთან დაახლოება უზრუნველვყო. ასეც მოხდება, – თქვა დოდონმა.

მოლდოვის პრეზიდენტმა ანტირუსულ პროვოკაციებში უკრაინა დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ უკრაინის ნაციონალურმა გვარდიამ უკრანა-დნესტრისპირეთის საზღვარი თავის კონტროლზე აიყვანა. ეს კი, მისი აზრით, ომის რისკს ზრდის.

– უკრაინელ ნაციონალისტებს სურთ, ჩვენც რუსეთთან ომში ჩაგვითრიონ, – ამბობს დოდონი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადება

სააქციო საზოგადოება „მშენებელი-96“-ის საერთო კრება შედგება 2017 წლის 10 ოქტომბერს, 12 საათზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, ოთახი №812.

დღის წესრიგი:

1. **2016 წლის ბალანსის განხილვა;**
2. **მიმდინარე საკითხების განხილვა.**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
გ.ხარაბაძე

განცხადებები

ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

სტეფანწმინდა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს

სტეფანწმინდაში, ყაზბეგის ეროვნულ პარკში, გუნდური ესტაფეტა „რედ ბულ გერგეთი“ ჩატარდება. ესტაფეტაში 12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის აზერბაიჯანიდან (2) და სომხეთიდან.

„რედ ბულ გერგეთი“ საქართველოში მესამედ გაიმართება. ესტაფეტა პირველად 2013 წელს მოეწყო, მეორედ – 2014-ში. ტურნირი სპორტის 4 სახეობას აერთიანებს: მონაწილეები საკუთარ შესაძლებლობებს კაიაკში (მდინარეზე ნავით დაშვება), მეკლდეურობაში, სამთო ველორბოლასა და სამთო სირბილში გამოცდიან.

გამარჯვებული გუნდი ოთხივე სახეობის შედეგების დაჯამების შემდეგ გამოვლინდება. დროის დათვლას და პრიზიორების გამოვლენას გერმანული კომპანია „დატაკაპო“ უზრუნველყოფს.

შეჯიბრება სოფელ ყანობში დაიწყება და გერგეტის სამების მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდება. საპრიზო ფონდი 8 ათასი ლარია. პირველ ადგილზე გასული გუნდი 3.000 ლარით დაჯილდოვდება, მეორეადგილოსანი 2.000 ლარს მიიღებს, მესამეადგილოსანი – 1.000-ს, ხოლო კონკრეტულ ეტაპზე გამარჯვებულ სპორტსმენებს 500-500 ლარი გადაეცემათ.

ტურნირთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა ისაუბრა:

– მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე ყაზბეგი ისეთ მშვენიერ სპორტულ ღონისძიებას მასპინძლობს, როგორიც რედ ბულის ესტაფეტაა. დარწმუნებული ვარ ეს შეჯიბრება ისეთივე წარმატებული იქნება, როგორიც წინამორბედები იყო. ასეთი აქტივობები ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, საქართველოში სპორტული ტურიზმის განვითარებას. მსგავს წამოწყებებს კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო ყოველთვის მხარს დაუჭერს. მსურს, წარმატება ვუსურვო ორგანიზატორებს, ფედერაციას სპორტი ყველასათვის და რედ ბულს, ესტაფეტის ყველა მხარდამჭერს და მონაწილეებს კი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში დაუვიწყარი წუთების გატარება!

საქართველო ასეულს მიუახლოვდა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ფიფა/კოკა-კოლას განახლებულ რეიტინგში 9 საფეხურით დაწინაურდა და 103-ე ადგილზეა. ეს ყველაფერი კი ბოლო მატჩების დამსახურებაა.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა შინ ირლანდიას ფრე და იგივე შედეგი სტუმრად ავსტრიაში აჩვენა, რითიც ბლომად სარეიტინგო ქულები გამოიმუშავა და სლოვაკი სპეციალისტის მუშაობის პერიოდში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია.

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ორ დარჩენილ შეხვედრას, შინ უელსთან და გასვლაზე სერბეთთან 6 და 9 ოქტომბერს ჩაატარებს და წარმატების შემთხვევაში ასეულში შესვლის შანსი აქვს.

რეიტინგში გერმანიის ნაკრები გალიდერდა, ხოლო ბრაზილიელებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. მესამე პოზიციაზე პორტუგალიელები აღზევდნენ.

ჩემპიონთა ლიგაში ქართველი ისევ გამოჩნდა

როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგაში ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა. მართალია, სულ 2 წუთით, მაგრამ იმ პაუზის შემდეგ, რაც აქამდე გვქონდა, სასიამოვნოა.

ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე დავით ხოჭოლავას დებიუტი შედგა – შახტარი-ნაპოლის მატჩის 91-ე წუთზე ჩვენებურმა ორდეცი შეცვალა. მართალია, ეს უფრო დროის გაყვანისთვის მომხდარი ცვლილება იყო და უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენებური ჯერ კიდევ არ ითვლება ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად.

შახტარმა კი ლიგა 3 ქულით დაიწყო – დონბასურმა გუნდმა შინ 2:1 მოუგო იტალიურ ნაპოლის, რაც სერიოზული ნაბიჯია ჯგუფიდან გასასვლელად.

დავით ხოჭოლავა:

– ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ წარიმართა. პირველ ტაიმში სრული კონტროლიც გვქონდა, თუმცა მეორე ნახევარში მერტენსის შემოსვლამ ნაპოლის შეტევები ძალიან მწვავე გახადა, მაგრამ დაცვის ხაზი და პიატოვი ჩინებულად თამაშობდნენ. ჩვენ ასეთი გუნდი ვართ – ანგარიშის შენარჩუნებას საკუთარი ფეხბურთის თამაშით ვცდილობთ... მიუხედავად იმისა, რომ კრივცოვს ტრავმა აქვს და ამის გამო შანსი მომეცემა, არ მსურს გავიხარო მისი დაზიანებით. მალე დაბრუნებას ვუსურვებ, მე კი სრულად გამოვჯანმრთელდი და სათამაშოდ მწყობრში ვარ.

მომდევნო მატჩს შახტარი 26 სექტემბერს ინგლისში, მანჩესტერ სიტისთან გამართავს.

გადაიდო ჯანო ანანიძის დებიუტი ლიგაში. ქართველის გარეშე მოსკოვის სპარტაკმა სტუმრად სლოვენიურ მარიბორთან ფრე, 1:1 ითამაშა. ჯანოს არყოფნა ნაკრებში მიღებული ტრავმაა, მუხლი აწუხებს და ინდივიდუალურად დარბის.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ფედერაციები

13 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ლივერპული-სევილია	2:2
მარიბორი-სპარტაკი	1:1
პორტუ-ბეშიქთაში	1:3
ლაიპციგი-მონაკო	1:1
რეალი-აპოელი	3:0
ტოტენჰემი-დორტმუნდი	3:1
ფეინოორდი-სიტი	0:4
შახტარი-ნაპოლი	2:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ფულემი-ჰალი	2:1

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

საბერძნეთი-რუსეთი	69:74
იტალია-სერბეთი	67:83

თბილისის დინამო და ჩიხურა ნახევარფინალში გავიდნენ

ხუსთავი-დინამო (თბ) 0:0 (0:33)

რუსთავი. ფოლადი

თერთმეტმეტრიანები: 0:1 თოთაძე 0:1 კილაძე (მეკარე), 0:2 გეგეჭკორი, 0:2 ციცქიშვილი (მეკარე), 0:3 შულაია, 0:3 ცაცკრიალაშვილი (მეკარე)

რუსთავი: ალავიძე, გაფრინდაშვილი, ვასაძე, გოგინაშვილი (სიჭინავა 68), სამხარაძე, კირკიტაძე (ცაცკრიალაშვილი 82), მეტრეველი, გუჯაბიძე, აფაქიძე (კილაძე 100), ციცქიშვილი, ბრაჭული

დინამო: რევიშვილი, გეგეჭკორი, სალუქვაძე, თოთაძე, კობოური, ქარდავა, ნინუა, შულაია, ქოჩლაძე (კუცია 56), მიქელთაძე, კოვტალიუკი (ლილუაშვილი 46)

დინამო უდავო ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ქვედალიგელ რუსთავთან მხოლოდ პენალტების სერიაში იმარჯვა.

მატჩის მე-3 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს – შეტევის მარჯვენა ფრთიდან კარგად ითამაშა ზაზა ციცქიშვილმა, ბურთი კარის გასწვრივ მწვავედ ჩააწოდა, მაგრამ იქ ბურთს რამდენიმე რუსთაველი ასცდა.

საპასუხოდ აკაკი შულაიამ იდენტურად ითამაშა და საჯარიმოში ჩააწოდა, ბექა მიქელთაძეს კი დარტყმა არ გამოუვიდა. მატჩის 21-ე წუთზე დინამო რეალურ ხიფათს ნუკრი რევიშვილმა გადაარჩინა, რომელმაც ციცქიშვილის ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. ტაიმის შუაში ლაშა ქოჩლაძის ჩახვეული საჯარიმო დარტყმის შემდეგ მიხეილ ალავიძესაც მოუწია ბურთის კუთხურზე გადაგდება. 34-ე წუთზე მიქელთაძემ საჯარიმოს მისადგომებთან კარგად მიიღო ბურთი, ცრუ მოძრაობით მეტოქეც ჩამოიცილა, დარტყმული კი ოდნავ ასცდა რუსთავის კარს. პირველ ტაიმში მეტი სახიფათო მომენტი აღარ ყოფილა.

მე-2 ნახევარი კახი კაჭარავამ ცვლილებით დაიწყო და მოედანზე მიკოლა კოვტალიუკის მაგივრად ენვერ ლილუაშვილი შემოუშვა. ამ ტაიმის დებიუტიც პირველის იდენტური გამოდგა და რუსთაველთა სახიფათო შეტევით აღინიშნა. გიორგი გაფრინდაშვილის დარტყმული ოდნავ არაზუსტი გამოდგა. ამას ირაკლი გოგინაშვილის დარტყმა მოჰყვა, თუმცა ისიც უშედეგოდ. საპასუხოდ დინამომ შეუტია და მიქელთაძის ძლიერად დარტყმული ალავიძემ კუთხურზე მოიგერია.

58-ე წუთზე დინამოელებს მართებდათ ანგარიშის გახსნა. რუსთაველთა საჯარიმოს მისადგომებთან მეკარეს დასწრებაზე ლილუაშვილი ეთამაშა, ბურთი დაუცველი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. მატჩის 74-ე წუთზე რევიშვილმა კიდევ ერთხელ ითამაშა კარგად, როდესაც გაფრინდაშვილის ახლო მანძილიდან ძლიერად დარტყმული მოიგერია. ცოტახანში გიორგი კუცია ვერ მისწვდა ლევან გეგეჭკორის სახიფათოდ ჩაწოდებულ ბურთს და რუსთავის კართან მომენტიც განიმუხტა. ისევ კუცია და ამ ჯერზე მისი დარტყმული მეკარემ მოიგერია. მანამდე შულაიამ ითამაშა კარგად და კუციას თავით დაუგდო ბურთი. ასე მიილია 90 წუთი და დამატებითი დრო დაინიშნა.

ექსტრატაიმის მე-4 წუთზე თბილისელთა შეტევას მიქელთაძე აგვირგვინებდა, ბურთი მცველებმა გამოიტანეს. 105-ე წუთზე ნინუამ სახიფათოდ ჩამოაწოდა კუთხური, ბურთს ბოლო წამს ლაშა თოთაძე ვერ შესწვდა. დამატებითი ტაიმების მეორე ნახევარში ფეხბურთელებს დაღლაც დაეტყოთ და თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში გაგრძელდა. ამაში თავისი წვლილი მაღალმა ტემპერატურამაც შეიტანა. საბოლოოდ პენალტების სერია დაინიშნა, რომელშიც დინამომ 3 დარტყმული გამოიყენა, რუსთავმა კი – ვერც ერთი. გოლები თოთაძემ, გეგეჭკორმა და შულაიამ გაიტანეს. კილაძის, ციცქიშვილისა და ცაცკრიალაშვილის დარტყმულები კი რევიშვილმა მოიგერია და დინამომ ნახევარფინალის საგზურიც მიიღო.

ჩიხურა-დილა 3:0

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0 ტატანაშვილი (38), 2:0 სარდალიშვილი (44), 3:0 ტატანაშვილი (74)

56-ე წუთზე წიქარიძემ ვერ გამოიყენა პენალტი

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, ფონიავა (გაბედავა 37), სარდალიშვილი (დეკანოიძე 71), კორიფაძე, ტატანაშვილი, კაკუბავა, ივანიშვილი (მწყერაშვილი 56), ჩიკვაიძე, დობროვოლსკი, კაშია

დილა: მუჯრიშვილი, მაჩაიძე, რაზმაძე, გოგატიშვილი, წიქარიძე (ფანცულაია 72), ნონიკაშვილი (კირკიტაძე 62), კუსიანი (მოდებაძე 69), აბუბაკარი, კვახაძე, ნუბიო, დერეტი

გაძევება: ჰამზიჩი (55)

მესამე იმერული გუნდი გავიდა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში. ჩიხურამ საკუთარ მოედანზე 3:0 დაამარცხა გორის დილა.

ზემო იმერლებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა პირველი ტაიმის ბოლოს მიიღეს, როდესაც დიმიტრი ტატანაშვილმა და მიშიკო სარდალიშვილმა 2 გოლი გაუტანეს გორელებს.

თუმცა, 55-ე წუთზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა – მასპინძლებს მეკარე დინო ჰამზიჩი გაუძევეს და გორელებმა პენალტის უფლებაც მიიღეს, მაგრამ თენგიზ წიქარიძემ 11 მეტრიდან ვერ გაიტანა.

რიცხობრივ მეტობაში მყოფმა დილამ მესამე გოლიც გაუშვა – დუბლი ტატანაშვილმა შეასრულა და თავისიანებს ნახევარფინალისკენ გაუძღვა.

სანაკრებო კარიერა ვიქტორ სანიკიძემაც დაასრულა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კიდევ ერთი დანაკლისი – ვიქტორ სანიკიძემ სანაკრებო კარიერა დაასრულა. ეს ამბავი კალათბურთელმა სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

ვიქტორ სანიკიძე:

– ეს არის ძალიან ემოციური მომენტი ჩემს ცხოვრებაში... ყველაზე დიდი სიმდიდრე, ყველაზე ძვირფასი და ფასდაუდებელი, რაც მე მერგო წილად, არის ქართველი ხალხის სიყვარული, გულშემატკივრის თანადგომა, რომელთა მხარდაჭერასაც ვგრძნობდი ყოველ ფეხის ნაბიჯზე, თითოეულ გამართულ მატჩზე. ეროვნულ ნაკრებში გატარებული წლები არის ოქროს წლები, ამისთვის დიდი მადლობა ჩემს ბიჭებს, ჩემს ძმებს, ვისთან ერთადაც ბევრი სირთულე გადამილახავს და, რაც ყველაზე მთავარია, ძალიან ბევრი ბედნიერი წუთი მქონია – მე თქვენთან ერთად გავიმარჯვე ამ ცხოვრებაში. კალათბურთი იყო, არის და იქნება ჩემი ნაწილი. მინდა პირობა მოგცეთ, რომ სადაც არ უნდა ვიყო, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ვიქნები საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველი გულშემატკივარი. ამიერიდან მეც თქვენსავით ვიჯდები ტრიბუნებზე და ისევე ვუგულშემატკივრებ ჩვენს ნაკრებს, როგორც წლებია თქვენ აკეთებთ, რადგან ზუსტად ვიცი, რამდენს ნიშნავს ეს თითოეული ქართველი სპორტსმენისთვის... მინდა, წარმატება ვუსურვო მომავალ თაობას. დიდი მადლობა ყველას, ვისაც კალათბურთი და საქართველო უყვარს!

შეგახსენებთ, მანამდე სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანმა, ზაზა ფაჩულიამ გააკეთა, ხოლო ნაკრების წევრმა, გიორგი ცინცაძემ შესაძლო წასვლაზე ისაუბრა.

მსოფლიო თასზე ცნობილი ერთი მეოთხედფინალური წყვილი ცნობილია

თბილისში მიმდინარე მსოფლიო თასზე ჭადრაკში ბაადურ ჯობავას დომინირებით მიმდინარეობდა მთელი პარტია უესლი სოსთან დაპირისპირებაში. თუმცა, თეთრებით მოთამაშე ქართველი დიდოსტატის უპირატესობა ძნელი სარეალიზაციო იყო. საბოლოოდ ყაიმი და ჯობავაც დამატებითებში იბრძოლებს მეოთხედფინალის საგზურისთვის.

აღსანიშნავია, რომ მერვედფინალის 5 წყვილი იბრძოლებს ტაიბრეიქში საგზურისთვის. შემდეგი წრის მხოლოდ ერთი წყვილია ცნობილი: ივანჩუკი-არონიანი და ეს მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჭადრაკის მოყვარულებში.

არონიანი თეთრებით დაამარცხა დანილ დუბოვი, ხოლო ივანჩუკმა შავებით ყაიმი ითამაშე ქართველების სიძესთან, ანიშ გირთან და თეთრებით წინ დღე მოგებული პარტიის წყალობით შემდეგ ეტაპზე გავიდა.

კიდევ ერთი მერვედფინალისტი ჩინელი დინგ ლირენია, რომელმაც „შინა ომში“ ვანგი დაჯაბნა.

5 საგზურისთვის იბრძოლებენ: ბუ სიანჩუი და პიოტრ სვიდლერი; ვლადიმირ ფედოსეევი და მაქსიმ როდშტეინი; ალექსანდრ გრიშუკი და მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი; ევგენი ნაერი და რიჩარდ რაპორტი; ბაადურ ჯობავა და უესლი სო.

ანჯელინა ჯოლის რთული პერიოდი უდგას

ანჯელინა ჯოლიმ ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალს გულახდილი ინტერვიუ მისცა, რომელშიც განაცხადა, რომ ის წელიწადი, რომელიც განქორწინებაზე განცხადების შეტანის მომენტიდან გავიდა, მისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

– მქონდა ემოციური აღმაფრენისა და დაცემის მომენტები. ვფიქრობ, ოდნავ უფრო გავძლიერდი, – განუცხადა მსახიობმა ჟურნალს ინტერვიუში, – ყველა ჩვენგანს გვაქვს რთული დროება, მაგრამ, როდესაც დედა ხარ, პირველ რიგში, შვილებზე ზრუნვა გიწევს. ამჟამად ყოველ მათგანს პიროვნებად ჩამოყალიბების დროება უდგას და ამასთან შედარებით სხვა ყველაფერი მეორე პლანზე გადადის.

მას შემდეგ, რაც 2016 წლის 19 სექტემბერს ანჯელინა ჯოლიმ ბრედ პიტთან განქორწინებაზე განცხადება შეიტანა, თითქმის ერთი წელი გავიდა. ამჟამად ის საკუთარი ფილმის „მათ ჯერ მამაჩემი მოკლეს“ წარმოჩენითაა დაკავებული, რომელიც კამბოჯაში განხორციელებულ გენოციდს ეძღვნება.

მეგანი მარკლიმ ელისაბედ II გაიცნო

პრინცმა ჰარიმ თავისი მეგობარი გოგონა, მსახიობი მეგანი მარკლი თავის ბებიას, დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს გააცნო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

მართალია, ჰერცოგინია კეტრინს ხუთი წელი დასჭირდა იმისთვის, რათა დედოფალ ელისაბედ II-ს შეხვედროდა, მაგრამ მარკლიმ იცოდა, რომ წლის ბოლომდე მას აუცილებლად წარადგენდნენ მისი უდიდებულესობის წინაშე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს 3 სექტემბერს მოხდა, შოტლანდიის ქალაქ ბირჰალში ერთ-ერთი ოჯახური შეხვედრის დროს. ინფორმირებული წყაროს ცნობით, შეხვედრამ კარგად ჩაიარა.

აღსანიშნავია, რომ ჰარიმ უფრო ადრე თავისი მეგობარი გოგონა უფროს ძმას, პრინც უილიამსა და მის მეუღლე კეიტს წარუდგინა, ასევე გააცნო მამას, პრინც ჩარლზსა და დედინაცვალ კამილას.

კენდალ ჯენერს მაისურის გამო სასამართლოში უჩივლეს

მოდელ კენდალ ჯენერის კუთვნილი კომპანიის Kendall Jenner, Inc-ს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიდა. მოდელს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან უკანონოდ გამოიყენა 90-იანი წლების რეპერების ფოტოსურათები მაისურებზე.

ფოტოგრაფმა ელ პერეირამ სასამართლოს სარჩელით მიმართა მოდელთან დაკავშირებით. ის ამტკიცებს, რომ მას არ ჰქონდა მის მიერ გადაღებული 90-იანი წლების ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავების ფოტოსურათების გამოყენების უფლება. რეპერების პორტრეტების თავზე კი თავად კენდელის ფოტოსურათია დაბეჭდილი.

რეპერების ფოტოსურათებმა აღშფოთება გამოიწვია დაღუპული რეპერების – ტუპაკას და Biggie-ს ახლობლებში. Biggie-ს დედამ ვიოლეტა უოლასმა 2017 წლის ივნისში ინსტაგრამში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მისი შვილის ფოტოსურათის გამოყენებას „უპატივცემულობისა და ექსპლუატაციის ყველაზე ცუდი გამოვლინება“ უწოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

თემურ ყვითელაშვილი მოსკოვში კონცერტს გამართავს

9 სექტემბერს ვირტუოზი გიტარისტი და გინესის რეკორდსმენი თემურ ყვითელაშვილი მოსკოვში მუსიკის სახლში სოლოკონცერტს გამართავს.

„ჩემი სულის მუსიკა“ – ასე ეწოდება კონცერტს, რომელზეც გიტარისტი თავის მუსიკალურ კომპოზიციებთან ერთად ცნობილი კომპოზიტორების მისეულ ვერსიას ააჟღერებს.

თემურ ყვითელაშვილი კონცერტისთვის განსაკუთრებულად ემზადება და მსმენელთან შესახვედრად სპეციალურ საკონცერტო პროგრამას ამზადებს.

როდის ჩაატარებს კონცერტს გიტარისტი თბილისში, ჯერჯერობით უცნობია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

პარიზი და ლოს ანჯელესი ოლიმპიადის მასპინძლები იქნებიან

საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებს პარიზი უმასპინძლებს, ხოლო 2028 წლის ოლიმპიურ თამაშები ლოს-ანჯელესში გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა პერუს დედაქალაქ ლიმაში გამართულ სოკ-ის 131-ე სესიაზე.

თომას ბახი:

– ვულოცავ პარიზ-2024-ს და ლოს-ანჯელეს-2028-ს. ეს არის ისტორიული ორმაგი არჩევანი, ეს არის ნაუგებელი სიტუაცია ქალაქ პარიზისთვის, ქალაქ ლოს-ანჯელესისთვის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის. ძნელი წარმოსადგენია უკეთესი რამ. ოლიმპიური თამაშებისა და მთელი მსოფლიოს სპორტსმენებისთვის მომავალი 11 წლის განმავლობაში სტაბილურობის უზრუნველყოფა – ეს არის რაღაც ექსტრაორდინარული.

თომას ბახმა ასევე აღნიშნა, რომ 2 უდიდესი ქვეყნის ამ 2 უდიდეს ქალაქს ზურგს უმაგრებს უდიდესი ოლიმპიური ისტორია. ორივე ქალაქი საოცარი ენთუზიაზმით ეკიდება ოლიმპიურ თამაშებს და ფანტასტიკურად უკაფავს გზას ოლიმპიურ სულისკვეთებას.

პარიზისა და ლოს-ანჯელესის მერებმა – ანე იდალგომ და ერიკ გარსეტიმ მადლობა გადაუხადეს სოკ-ის წევრებს მხარდაჭერისათვის და გამოთქვეს რწმენა, რომ მომავალი ოლიმპიური თამაშები წარმატებით ჩაივლის.

არჩევნების შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც წლეულს ივნისში გამართულმა სოკ-ის რიგგარეშე სესიამ მხარი დაუჭირა აღმასრულებელი საბჭოს წინადადებას 2024 და 2028 წლის მასპინძელი ქალაქების ერთდროულად არჩევის შესახებ, სამმხრივმა შემთანხმებელმა კომისიამ კი ნაყოფიერად იმუშავა და ყველა სადავო საკითხი მოაგვარა, ცხადია, არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ სოკ-ის წევრები სწორედ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

ტომას მიულერი: „ადრე თუ გვიან ბაიერნის დატოვება მომიწევს“

მიუნხენის ბაიერნის ფორვარდი ტომას მიულერი გერმანიის ჩემპიონატის დატოვებას არ ჩქარობს. თავდამსხმელმა ახსნა, თუ რატომ თქვა უარი მანჩესტერ იუნაიტედის წინადადებაზე და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

ტომას მიულერი:

– 2 წლის წინ მივიღე წინადადება იუნაიტედისგან, მაგრამ დიდხანს ფიქრი არ მომიწია, რადგან ბაიერნში მითხრეს, რომ ჩემი იმედი აქვთ. წარმომიდგენია თუ არა ჩემი თავი სხვა კლუბში? რა თქმა უნდა. დადგება ის დღე, როცა მე მომიწევს გერმანიის დატოვება და ისე მოქცევა, როგორც ბასტიან შვაინშტაიგერს. ბასტი 10 წელი იცავდა ბაიერნის ღირსებას, მაგრამ უკვე 2 წელია, ბუნდესლიგის მიღმა გამოდის და მის პოზიციაზე ახლა სხვა ფეხბურთელი თამაშობს. ვფიქრობ, რომ ჩემთან დაკავშირებითაც იგივე მოხდება, მაგრამ საშიში არაფერია. ხვალ თუნდაც რომ მოვკვდე, სათამაშოდ მაინც 11 მოთამაშე გამოვა – ეს არაფერს შეცვლის. თუ მე მომიწევს კლუბის შეცვლა, ეს ჩემთვის არ იქნება პრობლემა, რადგან ვიცი, რომ ახალ კლუბში ისე ვიგრძნობ თავს, როგორც სახლში.

ცნობილია, რომ მიულერი ანჩელოტის ნდობით არ სარგებლობს და წინა სეზონი სათადარიგოს სტატუსით გაატარა. თითქოს ის უნდა დაბრუნებულიყო ძირითადში, მაგრამ ვერდერთან მატჩი ტომასმა სათადარიგო სკამზე გაატარა. მატჩის შემდეგ მიულერმა განცხადება გააკეთა:

– არ ვიცი, რა ხარისხის დანახვა სურს მწვრთნელს, მაგრამ, ვფიქრობ, 100 პროცენტით მოთხოვნადი არ არის.

აღსანიშნავია, რომ გავრცელდა ინფორმაცია იტალიელი სპეციალისტის შესაძლო წასვლაზე, რომელმაც თითქოს ჩინურ კლუბთან მოაწერა კონტრაქტს ხელი. შეიძლება მიულერის პრობლემა 2018 წლის იანვარში დასრულდეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

15 სექტემბერი

ვერძი – დღეს აქტიურობისათვის არაკეთილისმყოფელი პერიოდია. იმედი გიცრუვდებათ. **კურო** – ვარსკვლავები კვლავ გწყალობენ. წარმატება გელით პროფესიონალური საკითხების მოგვარებისას. **ტყუპები** – ახალი საქმის დაწყება, ძველი პროექტების დამთავრება იღბლიანად წარიმართება. მეგობრების დახმარების იმედი გქონდეთ. **კირჩხიბი** – ძველი პრობლემები კვლავ თავს იჩენს. აუცილებელია, მოვლენები საღად შეაფასოთ. **ლომი** – მიზნის მიღწევისას შეუპოვრობა და პრინციპულობა გჭირდებათ როგორც საქმეში, ისე პირად ცხოვრებაში. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა ან ნებისმიერი შეხვედრა უარყოფით შედეგს გამოიღებს. ნუ იაქტიურებთ. **სასწორი** – ყურადღებით იყავით. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. საპირისპირო სქესთან მცირე კონფლიქტი გელით. **ღრიანკალი** – გარშემომყოფები ვერ გიგებენ. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისგან და მოთმინებით აღიჭურვეთ. **მშვილდოსანი** – მიზანდასახულობა, პრინციპულობა საქმეში წარმატებას გიქადით. პლანეტები გმფარველობენ. **თხის რქა** – საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტებით. გარშემომყოფების აზრს ანგარიში გაუწიეთ. **მერწყული** – ნურაფრის შეგეშინდებათ. შინაგანი დაძაბულობა, განგაშის შეგრძნება დროებითია. ეს დღე ბავშვებთან ერთად გაატარეთ. **თევზები** – პერსპექტიული დღეა. ნებისმიერი საქმე თამამად დაიწყეთ. უთუოდ გაგიმართლებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნეების ცნობილი ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი, მოტორიანი სპორტული ნავი; 5. ხარებთან ორთაბრძოლა; 9. მონის ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. საავტომობილო საბურავების ერთ-ერთი გამომგონებელი, ირლანდიელი მექანიკოსი; 12. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 14. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის მდებარე ისტორიული ქართული კუთხე; 18. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში.

თარაზულად: 4. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 5. რაიმეს შესწორება, გასწორება; 6. ფრანგი მწერალი; 7. სახელმწიფო ევრაზიის კონტინენტზე; 8. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. მოთელილი მატყლის თბილი მოსასხამი; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. ისლამური რელიგიის მსახური; 17. ტბა გაგრის მახლობლად; 20. აზიისა და აფრიკის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 21. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 22. კუთხე საქართველოში; 23. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბზინდა; 2. ფესახი; 3. ესმერალდა; 4. ჩითილი; 5. სარკაზმი; 7. „ბატე“; 9. დრენაჟი; 13. ლოსიონი; 15. „ხიხვი“; 16. გაუჩო; 18. ოპუსი; 19. კოპრა.

თარაზულად: 6. ბომბეი; 8. მენისკი; 9. თითბერი; 10. ნერეიდა; 12. გიენა; 14. შირაზი; 17. დისკოთეკა; 20. ალაბამა; 21. „ავერსი“; 22. სიურტე; 23. შორაპანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რეზერვი; 2. სემინარია; 3. ფელამუში; 4. არეშიძე; 5. მელასა; 9. შტირია; 11. გუანაკო; 12. აილამა; 14. ტრიკონი; 18. იგავი; 19. ტუაზი.

თარაზულად: 4. ალგეთი; 5. მალევიჩი; 6. ლეღვი; 7. გეიზერი; 8. ბინოში; 10. ტაიგა; 13. „ვიტესი“; 15. აქციზი; 16. „შინი“; 17. ცემი; 20. კომუნა; 21. საღამო; 22. პავიანი; 23. ზიდანი.

ქეთი დოლიძე: „ეს უკვე ის ზღვარია, როდესაც ხმა უნდა ამოვიღო“

რეჟისორი ქეთი დოლიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ღია წერილით მიმართავს და კინომსახიობთა თეატრში არსებულ ვითარებაზე საუბრობს:

– ეს ბოლო წერილია, რომლითაც მოგმართავთ თქვენ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ღირსება, ჩემი ოჯახის პატივი, ჩემი ბიოგრაფია შელახულია და სრულიად არ ვაპირებ ამ შეურაცხყოფის ატანას.

მე მესმის თქვენი უხერხული მდგომარეობისა, როდესაც იძულებული ხართ, დაიცვათ თქვენი მინისტრი, რათა მთელ კაბინეტს სახე შეუნარჩუნოთ!

თქვენმა „რჩეულმა“ კულტურის მინისტრმა ჩემი თეატრიდან გამომიშვა!

დიახ, ჩემი თეატრიდან, რადგან ეს თეატრი ჩემი სახლია და მის შექმნაში ჩემი გენიალური პედაგოგისთვის ლომის წილი მიმიძღვის!

ამპარტავანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ეს უკვე ის ზღვარია, როდესაც მე ხმა უნდა ამოვიღო და გკითხოთ: რატომ?!

რატომ შეიძლება, ასე იქცეოდეს თქვენი მინისტრი, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვნახეთ ჩვენს თეატრში?

როგორ მოხდა, რომ თეატრის დამფუძნებელი, მე, რომელსაც ჩვენი შიდა განაწესით, თითი არ უნდა შემხებოდა, თეატრს მიღმა აღმოვჩნდი თეატრის წევრთა უმრავლესობის საწინააღმდეგოდ?

ვინ მისცა მინისტრს უფლება, ასე გაუმჭვირვალედ, შეფარულად, შეთქმულებით მოეხდინა ჩემი „დასჯა“, დიახ, დიახ, დასჯა, რადგან ამ უკიდეგანო, პიროვნულ ბრძოლას ჩემთან საზღვარი აღარ ჰქონდა!!!!

არგუმენტებს, შეთითხნილ ბრალდებებს ბოლო არ უჩანს. თეატრის საერთო კრებაზე წარდგენილი კანდიდატი, ბატონი გიორგი სიხარულიძე, რომელიც ნაციონალების სიით მშვენივრად მოღვაწეობდა ქუთაისის საკრებულოში, შეფარვით, ჩვენგან დამალულად აგროვებდა ხელმოწერებს და ყველას არწმუნებდა, ქეთი დოლიძე უკვე მოხსნილია, ამტომ მე მომიწერეთ ხელიო!

რატომ ვერ იპოვა თეატრში თავისთვის საკმარისი მომხრეები?

რატომ დაინიშნა სრულიად გაუმჭვირვალე, ფარული კენჭისყრითა და გასაიდუმლოებული ხერხით ერთპიროვნულად მინისტრის მიერ?

რა დამსახურება აქვს ასეთი?

რა შეუქმნია თავისი ცხოვრების მანძილზე ისეთი, რომ მისი პერსონინთ მოხდა ჩემი ჩანაცვლება?

რატომ უმალავდნენ დასის უმრავლესობას მის მოყვანას?

რატომ ხდებოდა ეს დასის შვებულებაში ყოფნის დროს?!

ეს რა, კულტურის მინისტრის ახალი, დამკვიდრებული მეთოდია, რომელიც ერთი ერთში იმეორებს იმას, რაც

რურუამ ჩაიდინა?

რამდენიმე წლის წინ, ზუსტად იმავე რიცხვში, აგვისტოში!!! 30 აგვისტოს!

სადმე გაგიგიათ, სამხატვრო ხელმძღვანელის მოხსნის მიზეზი, გახმოვანებული სამინისტროს ჩინოვნიკების მიერ, იყოს ის, რომ მე ვაკრიტიკებ მინისტრს და ეს დაუშვებელია?!?!?!

როგორ ხდება ეს?

როგორ აღმოვჩნდი მე თეატრის მიღმა, ქუჩაში?!

ეს როგორ გამიბედეს, დიახ, როგორ გამიბედეს?

ამ თეატრის ყველა წარმატებული გასტროლის ავტორს, მის ასეთ თავგადაკლულ წევრს!

ვისი თხოვნა-მუდარით დაიდგა თუმანიშვილის ძეგლი – შედევრი, ვინ იზრუნა ყველა იმ გამოცემაზე, სამტომეულებზე, ომის დღიურებზე, სახელმძღვანელოებზე, მისი სახელობის გრანდიოზულ ფესტივალზე, რომელიც თქვენი მინისტრის ერთ-ერთი სამიზნეა?! გადახედეთ მის შაგრენის ტყავივით განლეულ ბიუჯეტს!

როგორ ბედავს თქვენი მინისტრი, რომ რაღაც მოგონილ, შეთითხნილ ბრალდებებს აფრიალებს და ვერაფერსაც ვერ ამტკიცებს!

რატომ ვერ გაუძლო თეატრის უმრავლესობის წნეხს და გაიქცა?!

ბ-ნო პრემიერო, ჩემი ღირსება შელახულია!

ამაზე პასუხი მჭირდება მეც და სხვასაც!

მე წარმატებული ხელმძღვანელი ვიყავი და ვერასდროს ავიტან დამცირებას ადამიანისგან, რომელიც ყველა ჩვენგანისათვის გაურკვეველი მიზეზებით იკავებს პოსტს მინისტრისას, რომელიც უპირველესად პატიოსნებასა და მიუკერძოებლობას, გემოვნებასა და სინდისს უნდა გამოხატავდეს!

ველი თქვენს პასუხს და, იმედია, ეს წერილი უპასუხოდ არ დარჩება!

„ჩაკრულოს“ კოსმოსში გაშვებიდან 40 წელი გავიდა



ანსამბლ „ერისიონის“ მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი მარგალიტის „ჩაკრულოს“ კოსმოსში გაშვებიდან 40 წელი გავიდა. ამ საიუბილეო თარიღს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავს:

– 1977 წელს „ვოიაჯერ 1“ გაიჭრა კოსმოსში ოქროს ფირფიტით, რომელზეც პრეზიდენტ ჯიმი კარტერის გზავნილთან ერთად დატანილი იყო ფოტოები, ხმები და 27 სიმღერა მთელი მსოფლიოდან.

ამ ოქროს ფირფიტაზე, რომელიც 20 მილიარდი კილომეტრითაა უკვე დედამიწას დაშორებული, „ერისიონის“ შესრულებული სიმღერა „ჩაკრულოა“ ჩაწერილი.

25-დან 28 სექტემბრის ჩათვლით, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო „ვოიაჯერის“ მისიის 40 წლის იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებით, საჯარო შეხვედრებით, ფილმების ჩვენებითა და წარმოდგენებით იზეიმებს.

შავნაბადის მონასტერში კელიებს ცეცხლი გაუჩნდა



შავნაბადის მონასტერში კელიებს ცეცხლი გაუჩნდა. ხანძარი ორსართულიან ხის ნაგებობაში გაჩნდა.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ ჟურნალისტებს განუცხადა, ხანძრის ლოკალიზება მალევე გახდა შესაძლებელი. მათივე ინფორმაციით, ადგილზე 25-ზე მეტმა მეხანძრე მაშველმა შესაბამისი სახანძრო ტექნიკით იმუშავა.



სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლი გადაწვეს

სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლი გადაწვეს.

ინფორმაცია ინტერნეტში ნუცა მძელურმა გაავრცელა და ფერფლად ქცეული შენობის ფოტოები გამოაქვეყნა:

– მეგონა, ცუდს აღარაფერს გავიგებდი... მაგრამ ამაოდ... სოფელ ახალი სამგორის კულტურის სახლი გადაწვეს გუშინ... აქ სოფლის გოგო-ბიჭები იკრიბებოდნენ... დგამდნენ სპექტაკლებს... იმართებოდა ფოლკლორის დღეები... სოფლის ერთადერთი გასართობი ცენტრი გუშინ გადაბუგეს... როგორ მტკივა გული...

ელტონ ჯონი ქართველ გულშემატკივარს მიმართავს

მომღერალი ელტონ ჯონი ქართველ მსმენელს მიმართავს და ბლექ სი არენაზე გადადებულ კონცერტთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ინტერნეტში აქვეყნებს:

– ძალიან ვწუხვარ საქართველოში დაგეგმილი კონცერტების გადადების გამო. დეივის არ შეუძლია სცენაზე გამოსვლა, მაგრამ ის მალე დაგვიბრუნდება. ჩვენ გადავდეთ კონცერტები შემდეგი წლისთვის და ძალიან ველოდები საქართველოში ჩასვლას. ასე რომ, შეგხვდებით ძალიან მალე!

ელტონ ჯონის 16 და 17 სექტემბერს ბლექ სი არენაზე დაგეგმილი კონცერტები მომავალი წლის 30 ივნისისა და პირველი ივლისისთვის გადაიდო.

კონცერტის გადადების მიზეზი გიტარისტისა და ტურის მუსიკალური დირექტორის დეივი ჯონსთოუნის ოპერაცია გახდა, რომელიც ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის და სცენაზე დგომა არ შეუძლია.

„ჩემი ცოლის დაქალები“ მე-12 სეზონს იწყებს

15 სექტემბრიდან გახმაურებული ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ ახალ სეზონს იწყებს.

რიგით მე-12 სეზონის პრომო ინტერნეტში უკვე გავრცელდა და სერიალის მრავალათასიანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფორმულა კრეატივის სერიალი უკვე 6 წელია ეთერშია და ამ ხნის განმავლობაში მას მაყურებელი არასდროს მოჰკლებია. ახალ-ახალი პერსონაჟების დამატებით კი „ჩემი ცოლის დაქალების“ მაყურებელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება.

სერიალზე მომუშავე გუნდის გადაწყვეტილებით, მე-12 სეზონში, ძველ და უკვე კარგად ნაცნობ სახეებთან ერთად, მაყურებელი სრულიად ახალ პერსონაჟებსაც გაიცნობს.

შოთიკო ნოზაძე გოგონას მამა გახდა



მსახიობი შოთიკო ნოზაძე გოგონას მამა გახდა. 27 წლის მსახიობი პოპულარული გახმაურებულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ თენგოის როლის შესრულებით გახდა. მისი გმირის ფრაზები მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალბედა მშობლებმა თავიანთ გოგონას ნინა დაარქვეს. მსახიობი მეუღლის მშობიარობას არ დასწრებია და, ქართველი მამაკაცების უმრავლესობის მსგავსად, მას გარედან გულშემატკივრობდა.

როგორც მსახიობმა განაცხადა, გოგონა დიდი წონის დაიბადა, თუმცა მისთვის ის ისეთი პატარაა, ხელში აყვანისაც ეშინია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ვაზისუბნის IV მიკრორაიონის I კვარტლის მე-13 კორპუსის მობინადრენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მეზობელი, მშრომელი, პატიოსნებით აღსავსე ოჯახის პატრონი და მამამთავარი, ბატონი

რამაზ ზურაბის ძე ქადაგიშვილი

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებსა და ნათესავებს.

პანაშვიდი: 14, 15 სექტემბერს;
დაკრძალვა: 16 სექტემბერს, 16 საათზე.

ქუქუნა გულედანის ხსოვნას

სიცოცხლის ტრფიალი
სიკვდილმა შეცვალა,
ვაი, რომ სანუთრომ
დიდხანს არ გაცალა...
ცხრათვალა მზის სხივი
გადგექცა უკუნად,
გვიყვარხარ, გვტკივიხარ,
გვაკლიხარ, ჟუჟუნა!

ლიზა კურკუმული, თენგიზ ჩარკვიანი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

პარასკევი 15 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი" გენიოსი ბიჭუნა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**გამარჯვებული ვიქტორია**" **10.00, 02.30** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტრ ვეტრინე**" **12.30** ევრობასკეტ- **2017 13.00, 03.30** დღის მხ/ფ "**მისტერ პიტკინი მტრის ზურგში**" **15.00, 05.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა უკუღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** დოკ/ფ **22.20 კალათბურთი** ევროპის ჩემპიონატი. **1/2** ფინალური მატჩი. პირდაპირი სტამბოლიდან. **00.20** მხ/ფ "**დევნა შუალამემდე**" (რ.დენირო)

06.30 სერ. "**ღირსების სახელით**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45** ქრონიკა **10.10** სერ. "**პაბარაქალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი**" **16.00** სერ. "**ოჯახური პორტრეტი**" **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.50, 19.03** სერ. "**ბოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** მხ/ფ "**ველური თაფლი**" **00.30** მხ/ფ "**ჯგუფი 7**" **02.00** მხ/ფ "**შვიდი ფსიქოპათი**" **04.00** მხ/ფ "**მხიარული ლოლა**" **05.30** მხ/ფ "**მოგკალი სამჯერ**"

06.00 სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წვრილის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **20.03** სერ. "**დედამთილი**" **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **1 01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30, 05.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "**ფარსკვლავური ომები 2**" **09.00, 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **13.00** სერ. "**ძვლები 6**" **17.00** სერ. "**კრიმინალური ზრაზანება: ეჭვმიტანილის ძებნა**" **3-4** სერ. **21.00** სერ. "**სპირალი**" **22.30** მხ/ფ "**ჯადოქრის მოსწავლე**" **00.50** მხ/ფ "**კოკაინი**" **02.50** მხ/ფ "**სრულყოფილი მკვლელობა**" **04.30** მხ/ფ "**ბომას კრაუნის აფერა**" **06.15** მხ/ფ "**რომისა და მიშელის სასტუმრო შეკრება**"

08.00 ანანდა **08.05** მულტფილმი **08.15** მულტ/სერ. "ლეკი ჩემს ჯიბეში" **08.40, 21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **09.40, 22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 00.00** ახალი ამბები **12.00, 3.20** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 02.20** მოდი გავეყაროთ **16.00, 4.00** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 5.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **23.00** ღია სტუდია **00.30** მხ/ფ

06.00 შვიდგზის ლოცვა **06.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** მუს. პაუზა **06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება-ოპერაცია სავანი" **07.35** ივერიის ეკლესია "წმინდა პატრიარქი კიეიონ II" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს. პაუზა **08.40** თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** მსოფლიო საგანძური-იერუსალიმისა და ქრისტიანული სამყაროს ძველი ქალაქი **10.25** თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" **10.35** ერთხელ ბავშობაში "ზურაბ კანდელაკი" **11.10** ერთსულოვანი ოჯახი "ქურდიანები" **12.10** მხ/ფ "**მეველდი**" **13.30** ან/ფ "კონკია" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "ქვილთი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-პიემონტი" **15.50** სამყაროს შექმნა **16.35** კონცერტი "ჯანო ბაგრატიონი" **17.35** ჩვენი საგანძური "პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი" **18.10** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰ ქვია..."გურჯაანი" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**აბეზარა**" **20.40** ძილი ნებისა "ქვეყნის მაშენებლები" **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ყოველი სამშვილდე-წყნარი მიდამო" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებური წარსული "თუშეთი" **23.35** ღვთის სახლი "ცხინვალის საკათედრო ტაძარი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა "შროშა" **01.00** დ/ფ "ფენომენი" **2** ნაწ.

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4587
- ევრო — 2.9443
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2602
- 100 რუსული რუბლი — 4.2641

ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის

12 სექტემბრიდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

13 სექტემბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

14 სექტემბრიდან

ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

პოლ პოგბას თვე-ნახევარი გაუცდება



მანჩესტერ იუნაიტედის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ პოგბამ ბაზელთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და, როგორც აღმოჩნდა, ეს ტრავმა საკმაოდ სერიოზულია. პოგბა, სავარაუდოდ, თვე-ნახევარს გამოტოვებს და მისი არყოფნა მანჩესტერისთვის დიდი დანაკლისი იქნება, რადგან პოგბამ წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყო. ფრანგმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ის უფრო ძლიერი დაბრუნდება მოედანზე და ტრავმები ვერ დააბრკოლებს. პოლ პოგბა მანჩესტერ იუნაიტედში 2016 წელს გადავიდა და მისი პირველი სეზონი არცთუ წარმატებული გამოდგა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისგან ძალიან ბევრს ელოდნენ.

ბარსელონა ანხელ დი მარიას წელიწადში 10 მილიონ ევროს სთავაზობდა

აგვისტოს ბოლოს ბარსელონა აქტიურად ცდილობდა პსჟ-ს არგენტინელი ფეხბურთელის ანხელ დი მარიას ყიდვას, მაგრამ საბოლოოდ პსჟ და ბარსელონა ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც ტრანსფერი ჩაიშალა. როგორც ირკვევა, ბარსელონა დი მარიას ანაზღაურების სახით წელიწადში 10 მილიონ ევროს სთავაზობდა, რაც იმაზე მეტია, ვიდრე პიკესა და ინიესტას აქვთ. მიუხედავად ასეთი ციფრებისა, ტრანსფერი მაინც არ შედგა და საბოლოოდ დი მარია პსჟ-ში დარჩა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

მამა შვილს ეჩხუბება:
– უსაქმური ხარ. მე შენ ასაკში ღამით ვაგონებს ვცლიდი...
– მერე?
– მერე დამიჭირეს...

•••

უფროსი თანამშრომელს ეკითხება:
– გუშინ სამსახურში რატომ არ მოხვედით?
– მოვედი, მაგრამ აქ აღარავინ დამხვდა.

•••

ორი კვირით მივლინებაში ყოფნის შემდეგ სახლში დაბრუნებული დედა შვილს ეკითხება:
– მამაშენი, უჩემოდ მოწყენილი იყო?
– თავიდან არა, მაგრამ ბოლო ორი დღე სულ უფრო და უფრო მოწყენილი და უხასიათოდ იყო.

•••

ფირმაში სამუშაო საათებში სამი შეიარაღებული ნიღბიანი შეიჭრა ყვირილით:
– ყველანი იატაკზე! ძარცვაა!
ბუღალტერმა შვებით წამოიძახა:
– მადლობა ღმერთს! საგადასახადო მეგონა.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– ჩემს მეზობელს ბოლო სტადიის ბრტყელტერფიანობა აქვს.
– და რას ნიშნავს „ბოლოსტადიის ბრტყელტერფიანობა“?
– საცურაო „ლასტები“ ნანახი გაქვს?
– ხო.
– ეგ ბოლოსწინაა...

•••

ბიჭმა გოგონა კაფეში გაიცნო და სახლში მიიყვანა. უცბად გოგონამ მოიწყინა. ბიჭი ეკითხება:
– რა დაგემართა?
– ალბათ ჩემზე ცუდი აზრი შეგექმნა, მაგრამ მე მასეთი არ ვარ...
– მე შენი მჯერა, გულწრფელად გეუბნები, შენი მჯერა.
გოგონა აქვითინდა:
– შენ პირველი ხარ.
– რა პირველი?
– პირველი ხარ, ვისაც ჩემი სჯერა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

7 სექტემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

15 სექტემბრიდან

ედუარდ ლირი

ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

იურგენ კლოპმა სევილიასთან შეხვედრაზე ისაუბრა

ლივერპულის თავკაცმა იურგენ კლოპმა სევილიასთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა. ლივერპულ-სევილიის დაპირისპირება ფრედ 2:2 დასრულდა. კლოპის თქმით, ეს შედეგი უსამართლოა. „ლივერპულში ჯერჯერობით ყველაფერი იდეალურად არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, სევილიასთან გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან მეტოქეზე გაცილებით მეტი მომენტი გვქონდა. ფაქტია, იღბალმა ზურგი გვაქცია და ვალდებულნი ვართ, სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ“, – განაცხადა იურგენ კლოპმა. შემდეგი თამაში ჩემპიონთა ლიგაში ლივერპულს მოსკოვში სპარტაკის წინააღმდეგ ექნება.

მარსელომ რეალთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მადრიდის რეალის ბრაზილიელმა მცველმა მარსელომ მადრიდის რეალთან კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის სამეფო კლუბში 2022 წლის ჩათვლით ითამაშებს.

ახალი კონტრაქტის მიხედვით, მარსელოს ხელფასი მოემატება და ის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იქნება. მარსელომ განაცხადა, რომ რეალში ძალიან ბედნიერია და ამ გუნდში აპირებს კარიერის დასრულებას. ბრაზილიელი მცველი რეალში 2007 წელს მივიდა და მაშინ ის მხოლოდ 18 წლის იყო. მას შემდეგ მარსელომ რეალის შემადგენლობაში 414 შეხვედრა ჩაატარა და ის გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. ძველებური სასადილო, სავაჭრო; 3. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 4. ქართველი კინორეჟისორი; 5. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 7. დამუხტული ატომი; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 13. მაგიდის სათამაშო; 15. რახმანინოვის ოპერა; 16. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. სქელი ქაღალდი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

თარაზულად: 6. ინდოეთში გავრცელებული ირმის ერთ-ერთი ჯიში; 8. ნილოსის სანაპიროზე მდებარე პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 9. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 10. შტატი აშშ-ში; 12. ადამიანისა და ცხოველის უჯრედთაშორის სივრცეებსა და სადინარებში მიმოქცევადი უფერული სითხე; 14. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 17. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი; 20. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 21. პატარა ბაღი; 22. მტკვრის მარცხენა შენაკადი; 23. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა